645
1991
413.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ISSN 0821-1509
7•1991

# საქართველოს ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს
ყოველთვიური
საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და
მხატვრულ-
ლიტერატურული
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ლია ანდღულაძე,
ნაზი თარგამაძე,
მაია თოფაძე,
ლია კაკაბაძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნაზი კილასონია,
ლაშა კიკალეიშვილი,
ნანა ობოლაძე,
ცინარა ტერელაძე
(მხატვრული რედაქტორი),
ირმა ჩოფიკაშვილი,
ნინო ჯავახიშვილი,
ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — საქვეყნოდ ცნობილი მომღერალი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი პაატა ბურჭულაძე მეუღლე ირინესთან ერთად

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“, მ. კოსტავას ქ. 14

## ძვირფასო მკითხველო!

ზედმეტად მიგვაჩნია თავი შეგაწყინოთ ჩვენს საერთო გაჭირვებაზე ლაპარაკით. დიდხანს ვცდილობდით ჟურნალის ძველი ფასი შეგვენარჩუნებინა, მაგრამ იმის გამო, რომ ქაღალდი, საღებავი და საერთოდ ყველაფერი გაძვირდა, წლის ბოლოს ჟურნალის რედაქციას ფინანსებში სერიოზული გარღვევა ემუქრებოდა. ამიტომ დღეიდან ჯიხურებში ჩვენი ჟურნალი გაიყიდება მანეთად. ხელმომწერნი კი, როგორც ყოველთვის, მოგებულნი რჩებიან. წლის ბოლომდე ჟურნალს მიიღებენ ისე, როგორც აქამდე იღებდნენ.

მომავალი წლიდან კი ჩვენს ჟურნალზე ხელისმოწერის ფასი იქნება:

6 თვით — 9 მანეთი

1 წლით — 18 მანეთი

სამაგიეროდ, ძვირფასო ქალბატონებო, ჟურნალში წაიკითხავთ ყველაფერს, რაც ქალმა უნდა იცოდეს, როგორც დედამ, ქალმა, მეუღლემ, დიასახლისმა, საზოგადო მოღვაწემ.

თქვენ არ დაგჭირდებათ სხვაგან ეძებოთ კვალიფიციურ სპეციალისტთა რჩევა იმის შესახებ, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან ნერვიული სტრესი, როგორ მივაღწიოთ ოჯახში სულიერ ჰარმონიას, როგორ შევინარჩუნოთ მძიმე სიტუაციაში ჩვენი, ქალური ღირსება, როგორ გავუფრთხილდეთ სიყვარულს, როგორ დავამზადოთ გემრიელი კერძები, რა და როგორ შევიკეროთ. შეხვდებით საინტერესო ადამიანებს. თქვენი ქმრებისათვის ჟურნალი გთავაზობთ სპეციალურ გვერდს მამაკაცებისათვის, ხოლო ბავშვებს სისტემატიურად ექნებათ საინტერესო საკითხავი ჩვენს საყმაწვილო გვერდში „კოკორი“... რამდენი ერთი ჩამოვთვალოთ... და ყველა ეს სიამოვნება თვეში მხოლოდ იმდენი დაგიჯდებათ, რამდენითაც ერთ კილო გარგარსაც ვერ იყიდით.

ჩვენ თქვენი დიდი ერთგულებისა და გაგების იმედი გვაქვს. თუკი მომავალი წლისათვის დროულად გააფორმებთ ხელმოწერას, უსათუოდ მოგებული დარჩებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ღვინჯილია

# ღვთისმშობლის წილხვედრილობა



**ღვთისმშობლის წილხვედრილობის მადლი დაეუფლა სულიერებას, გენეტიკას, ფიზიკურ და სულიერ ფორმებს.**

ღვთისმშობლის წილხვედრილობა ღვთაებრივი საიდუმლოა. ერთი შეხედვით საქმე თითქოს მარტივადაა. ქრისტეს მოციქულებს ქვეყნები საქადაგოდ დაუნაწილდათ. საქართველო წილად ხვდა ღვთისმშობელს. მაგრამ რა თქმა უნდა, საქმე სხვაგვარადაა. ქრისტეს მოციქულები, მით უმეტეს, ღვთისმშობელი, ღმერთის ნებას აღასრულებდნენ. გადანწყვეტილებაც ქვეყნების დანაწილების შესახებ ღვთაებრივი საიდუმლოა. საქართველო რომ მარიამ ღვთისმშობელს ხვდა წილად, ესეც ღვთაებრივი საიდუმლოა, რადგან ღვთის ნების გაცხადებაა იგი.

მე, ბუნებრივია, ღვთაებრივი საიდუმლოს ამოხსნას არ ვისახავ მიზნად, რადგან ღვთაებრივი საიდუმლოს ამოხსნის ცდა მკრეხელობაა. ადამიანი ვარ და ამის არც უფლება, არც შესაძლებლობა არა მაქვს.

ჩვენ მოვალენი ვართ დავფიქრდეთ: რას ნიშნავს ჩვენთვის ღვთისმშობლის წილხვედრილობა? იგი რომ ღვთაებრივი საიდუმლოს შემცველია, ამაზე უნდა შევთანხმდეთ. მაგრამ რაკი ღვთაებრივი საიდუმლოა, მისი მნიშვნელობა ქართველებისათვის განუსაზღვრელია, არა მარტო განუსაზღვრელია, განსაკუთრებულია! აბა დააკვირდით „ადგილის მაგნიტიზმის“ შინაარსს ნაზარეთს, იერუსალიმს, — ქრისტეს წარმოშობისა და მოღვაწეობის ადგილებს, რა ანდამატური მიმზიდველობა ჰქონდა, აქვს და ექნება! ამიტომ მიისწრაფვიან იქითკენ! უნდათ ერთხელ კიდევ შეავლონ თვალი იმ გამოქვაბულს, სადაც ქრისტე იშვა, უნდათ ემოციური კონტაქტი დაამყარონ სასწაულთან ე. ი. განსაკუთრებული შინაარსის შემცველია ღვთისმშობლის წილხვედრილობა. ქართველ კაცსაც აუკრძალეს მეოცე საუკუნეში ღმერთზე ფიქრი, ღმერთის რწმენა და, ბუნებრივია, გაუფერმკრთალდა ღვთისმშობლის წილხვედრილობის მნიშვნელობაც. დღეს ქართველი კაცი საუკუნო ბურანიდან იწყებს ამოტივტივებას. გაბრუებული გონება ძალას იკრებს და სულის მზერა უფრო გამოკვეთილად არჩევს ნისლგადაცლილ საგნებს.

ჩვენ დღეს ღრმად უნდა გავიცნობიეროთ ღვთისმშობლის წილხვედრილობის საიდუმლოს მადლი და ისევე დავუქვემდებაროთ ამ საიდუმლოს ჩვენი არსებობა, როგორც ვაკეთებდით ამას მე-12 საუკუნეში, თუმცა არც სხვა საუკუნეებში დაგვვიწყნია ჩვენ ღვთისმოსავის მოვალეობა.

ღვთისმშობლის წილხვედრილობა ღმერთის საიდუმლო კი არის, მაგრამ იგი თავის განფენილობაში ტოვებს უამრავ გამოკვეთილ ნიშანს, რომელიც გვამცნობს თავის მადლს და გვავალებს მისთვის საკადრისი ცხოვრების წესით არსებობას.

უშუალოდ ღვთისმშობლის კალთით მოეფინა მადლი საქართველოს. კერძოდ, მოხდა ის, რომ ღვთისმშობლის წილხვედრილობის მადლი დაეუფლა სულიერებას, გენეტიკას, ფიზიკურ და სულიერ ფორმებს. ეროვნული ქსოვილი გაიჟღინთა ამ საიდუმლოს მადლით.

უპირველეს ყოვლისა, ქალის ფენომენში მოახდინა თვისობრივი ცვლილება ამ მადლმა. ღვთისმშობლის ღვთაებრივად ამაღლებულმა არსებამ მის წილხვედრილ ქვეყანაში აღამაღლა ქალის არსი. შეიცვალა ქალთან დამოკიდებულებაც. ქალთან დამოკიდებულებაში მთავარი ადგილი დაიჭირა მოწიწებამ. ქალი იქცა მიუწვდომლობის და თაყვანისცემის საგნად, რიდის და პატივისცემის მიზეზად, საყრდენად და მისწრაფების ნიშანსვეტად. იგი უკვე აღარ გახლდათ მარტოოდენ მდედრული საწყისი, რომელსაც გარკვეული პატივი მაინც ეკუთვნის. უფრო მეტი შეიქნა! სიწმინდის, პაეროვნების, გარემომცველის და საბოლოოდ, ყოვლისმომცველის შინაარსით შეივსო. ამ „შევსებამ“ ქალის არსი აამაღლა. ვფიქრობ, მაგალითების დახვავება ყოველივე ამის დასამტკიცებლად არ დაჭირდება მკითხველს. მხოლოდ რამდენიმე ნიშანსვეტზე მივანიშნებ.

ნინო კაბადოკიელი, თამარ მეფე, ქეთევან წამებული — სულ სხვადასხვა განზომილების ფენომენები.

ნინო კაბადოკიელთან დამოკიდებულება სწორედ ქრისტეს ჯვარმა განსაზღვრა. საქართველოში სხვებმაც იქადაგეს ქრისტიანობა (ანდრია მოციქული და სიმონ კანანელი). მაგრამ ერის გულისყური ასეთი ყურადღებით არ ყოფილა არავისკენ მიპყრობილი. ნინო კაპადოკიელს კი მთელი ქართველობა მიენდო, როგორც ხორცშესხმულ ჭეშმარიტებას. აქვე დაიბადა ეროვნული მოწიწების გრძნობა ქალისადმი. მთავარია, რომ ეროვნული გულისყურის შემობრუნება ქალი განმანათლებლისაკენ უნდა გულისხმობდეს სწორედ ღვთისმშობლის წილხვედრილობას, რასაც ბედნიერ ხვედრად ითავისებდა უკვე ქართველი ხალხი.

რამდენი საუკუნეა, ეამბორა ქართველი კაცი ბოდბეს მიწას, რომელმაც მიიბარა ნინო კაპადოკიელის ცხედარი. ქალწული ნინოს ხატება კი მარადიული დედის ხატებად მოძრაობს ჩვენს სულში.

საქართველოს არსებობის ისტორიას ქართველი მამაკაცები ჭედდნენ საუკუნეების განმავლობაში. მათი ენერგია, შემართება, ნიჭიერება, სიბრძნე, სიდარბაისლე, მოქნილობა უზრუნველყოფდა ტანჯვით აღსავსე წუთისოფელში წონასწორობის შენარჩუნებას და ეროვნული მისიის აღსრულებას.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ იგი გარემოსილი იყო ღვთისმშობლის ქალური სიმაღლით, სინატიფით, აუმღვრევლობით, სიწმინდით, ეს მადლი კი წარმოშობდა არა დაქვემდებარებულ მეორე ნახევარს, არამედ მისწრაფების სიმბოლოს ქართველ ქალად და ქართველი მამაკაცი ამაღლებული იყო ამ სიწმინდისაკენ მისწრაფებით. საქვეყნო საქმე სამამაკაცო საქმე იყო და ღვთაებრივი საიდუმლო მამაკაცთა ფუნქციას არასდროს არ ხელყოფდა, ოღონდ უძლიერესი თანამდგომი მუდამ იგულისხმებოდა.

ღვთისმშობლის წილხვედრილობას ყველაფერში უნდა გამოეხატა თავისი ნება და აქაც დატოვა ნიშანსვეტი!

თამარ მეფე!

მატერიალისტები მარტივად ახსნიდნენ ამ ამბავს: დაიბადა უნიჭიერესი და უჭკვიანესი ქალი, ხელი შეუწყო სოციალურ-პოლიტიკურმა მოვლენებმა და მის დროს აყვავდა საქართველო.

არა! ღვთაებრივი საიდუმლოა დაფლული თამარ მეფეში! ქალი სხვაც ჰყავდა საქართველოს. ამავე თამარ მეფის ასული რუსუდანი. მაგრამ რამოდენა სხვაობაა მიწიერჩვეულებრივ ქალსა და ღვთაებრივ საიდუმლოთი გარემოცულ, ღვთის ნების გამომხატველ არსებას შორის!

თამარ მეფის არსებობა საქართველოში მარტო იმიტომ კი არ არის ბედნიერება, რომ მის დროს ივერია აყვავდა, არამედ იმის გამო, რომ მაქსიმალურად შეგვაგრძნობინა ღვთისმშობლის წილხვედრილობის მადლი.

ქალთან დამოკიდებულება ფენომენად იშვებოდა ერში.

თამარს ღვთაება ვუწოდეთ. ეს შეცდომა იქნებოდა ღმერთის წინაშე, ხწორედ ღვთისმშობლის წილხვედრილობა რომ არ გვიხსნიდეს საიდუმლოს.

მაგრამ ღვთისმშობლისადმი უსაზღვრო სიყვარული და მოწიწება ჯერ ქალის ამაღლებაში გადაგვეზარდა, შემდგომ თამარის ხატებაში შეაფარა მან თავი!

„მარადიულ-ქალურისადმი" (გოეთე) მოწიწება და მისწრაფება დაკრისტალდა ჯერ „საერო" ცხოვრებაში, ხოლო შემდგომ „ვეფხისტყაოსანში".

საერო ცხოვრება ამ ქვეყნად რეალურ ცხოვრებად უნდა გავიგოთ, სადაც ღვთის ნებით განივთდა ყველაფერი.

„ვეფხისტყაოსნიდან" — ამ ერთი მთლიანი მარგალიტის მძივიდან ხშირად გამოყოფენ სხვაზე მეტად ელვარე მარგალიტებს. განსაკუთრებით კი ნესტანის წიგნს ქაჯეთის ციხიდან, იგი უმაღლესი წერტილია, სადაც აიჭრება სიწმინდის ელვარე ტალღა „ვეფხისტყაოსანში", მაგრამ საერთოდ მთელი პოემა გვევლინება ქალურისადმი იშვიათი მოწიწების ნიმუშად.

ცხადია, მტკიცება არ ჭირდება იმ აზრს, რომ პოემაში მთელი ერის და არა მარტო რუსთაველის სულიერი მდგომარეობაა უკუფენილი.

ასეთი სულიერი მდგომარეობა ჰქონდა მოპოვებული უკვე ქართველ ერს.

ეს სულიერი მდგომარეობა ჰორიზონტალური სივრცე არ გახლდათ მარტოოდენ, იგი იყო უმაღლესი მწვერვალი.

საქართველო იდგა ადამიანური არსებობის უმაღლეს მწვერვალზე.

ეს გახლდათ ეროვნული სრულქმნილების ზღვარი. ამ ეროვნული სრულქმნილების უმაღლესი ზღვარისკენ მიჰყავდა თავისი ერი დავით აღმაშენებელს.

სრულქმნილების ზღვარი კი თამარ მეფემ დაალაშქვრინა ქართველ ერს.

ნაშთად მოენილი „აზიატური" სულისკვეთების გამოხატულებაა, როდესაც თამარ მეფის ეპოქის ბრწყინვალებას დავით აღმაშენებლის დამსახურებად თვლიან. მან შეუქმნაო ყველაფრის საფუძველი თამარ მეფეს.

დავით აღმაშენებლის მარადიული მნიშვნელობა საქართველოსათვის მე არავისგან მესწავლება, მაგრამ ეროვნული სრულქმნილება თამარ მეფის დამსახურებაა.

ორივე პიროვნება ღმერთის ნებით გაჩნდა საქართველოში — ერთი საუკუნის დასაწყისში, მეორე — საუკუნის დასასრულს, რათა დაესრულებინათ განუმეორებელი ქართული სამყაროს შექმნის მრავალსაუკუნოვანი პროცესი.

ღმერთის ნება-სურვილის გამოხატულებაა მათი ასეთი დროითი დისტანციით გაჩენა.

სხვა რამ გვიცხადდება თვალნათლივ ქართველებს: ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში თამარ მეფის მსგავსი სრულქმნილი პიროვნება ღვთისმშობლის მარადწარუდინებელი და განუფანტავი მადლით იბადება.

გაცნობიერება იმ აზრისა, თუ ვისი წილხვედრილი ქვეყანა ხარ, მარტო ჭეშმარიტების წვდომას კი არ მოასწავებს, თავისთავად იქცევა სულიერ ენერგიად, რომელიც სისხლსა და ხორცს ისე აღამაღლებს ერთში, რომ თამარ მეფის ხატებაში დაუდგინებს თავის უნიკალურ ღირსებებს...

მე-17 საუკუნეში საშინლად აწამეს ქეთევან დედოფალი. თავგანწირვის სარისხა! ქეთევან დედოფალი არც ქვეყნის პატრონად გახლდათ ურიგო.

მაგრამ ქეთევან დედოფალში ქართველი ქალის თავგანწირვის სარისხია საინტერესო.

აგერ, მეჩვიდმეტე [illegible] საქართველოში მაშ [illegible] არსებობდა ქართველი ქალის სიმაღლე, დამკვიდრებული ღვთისმშობლის წილხვედრილ ქვეყანაში ამავე წილხვედრილობის მადლით.

იგი ამ თვალსაზრისის დამადასტურებელი ნიშანსვეტია.

. . .

მოგვიანებით თავისი ძლიერი გონების თვალი მოავლო ილია ჭავჭავაძემ სავნებს და ქართველი ქალის მომხიბლავი შინაარსის საიდუმლო დაგვიხასიათა. ჩაუღრმავდა სიტყვებს: „დედამიწა", „დედაკაცი", „დედაბოძი".

მოზრდილი ბიბლიოთეკა შეიკრება იმ ნაწარმოებებით, რომლებიც ქართველი ქალისადმი არის მიძღვნილი. ყველა ნაწარმოებში შეიგრძნობა ის განსაკუთრებულობა, რაც ქართველი ქალის არსს მიენიჭება ღვთისმშობლის წილხვედრილ ქვეყნად საქართველოს გამოცხადებით.

. . .

ჩვენ საგანგებოდ შერჩეული პოზიცია გვერგო. ტანჯვით და ღვაწლით გაჯერებული ცხოვრებაა ამ პოზიციის ხვედრი. როდესაც არ ვიღვწით, მარტო ტანჯვა გვრჩება და ულმერთობა გვიბატონდება. როდესაც ვიღვწით, ტანჯვა მსუბუქდება და ამქვეყნიური სიამეიც ილვრება ჩვენს ყოფაში.

რამდენი ხანია, ისე არ გვიღვაწია, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას რომ ეკადრება. სატანის ლაშქარი არის გარს მოჯარული და მათი დაფანტვა შეუძლია მხოლოდ ღმერთისაკენ შემობრუნებას.

ღვთისმშობლის წილხვედრილი ქვეყნის საკადრის ბრძოლას და ღვაწლს შეუძლია მხოლოდ ამ წრიდან ჩვენი გამოყვანა.

დღევანდელი ქართველი ქალებიც, სანამ ღვთისმშობლის წილხვედრილობის საიდუმლოს იმ ნიშნებს არ აიღორძინებენ თავიანთ თავში, რასაც გარდასული საუკუნეების დედათა ნეტარი სულები ფლობდნენ, მანამ ძნელად იპოვნიან საკუთარ რაობას.

საქართველო სატანამ დააშორა ღმერთს. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ღვთისმშობელსაც დააშორა. ე. ი. ქართველი ქალებიც დააშორა ღვთისმშობლის არსს.

ღმერთის ნებით იწყება ღვთაებრივი გზისაკენ ჩვენი შემობრუნება. ქართველი ქალის არსი მზად არის ოდინდელი სიმაღლის დაუფლებისათვის.

ღვთისმშობლის წილხვედრილობა კიდევ ერთხელ გაბრწყინდება სრულად, როგორც მირონცხებული მადლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პირველად ისეთი საშინელებაა, სიკვდილი მოგინდება, მერე ნელ-ნელა ყველაფერს ეგუები“.

— „მე რომ ჩემი ოთახი დამელაგებინა, როგორც მამა მთხოვდა, ალბათ არ მიმატოვებდა“.

დაახლოებით ასე გამოიყურება განქორწინებულ მშობელთა ბავშვების პასუხები, რომლებიც ერთ-ერთი სოციოლოგიური კვლევისას მივიღეთ.

ვერ ვიტყვით, რომ ოჯახური ცხოვრების ეს ერთობ დრამატული მოვლენა ყოველმხრივ შესწავლილია და მაინც, მეცნიერებმა შეძლეს გარკვეულ კანონზომიერებათა დაფიქსირება; აღმოჩნდა, რომ განქორწინებათა თითქმის 45 პროცენტი ქორწინების 6-7 წელზე მოდის.

> განქორწინებულ მამაკაცთა 70 პროცენტი ნაადრევად ბერდება, ხოლო 40 პროცენტი ნაადრევად სტოვებს წუთისოფელს.

ლაშა კიკალეიშვილი

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

# პატარა პიროვნების ტრაგედია



სწორედ ამ სავალალო კანონზომიერებაზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება, რადგან ამ მშრალი სტატისტიკის მიღმა, უსუსური პატარები არიან. თუკი უფროსები ურთიერთკონფლიქტებს ნელ-ნელა მიჰყავთ განქორწინების იდეამდე, ბავშვისათვის ეს უღრუბლო ცაზე ქუხის გავარდნის ტოლფასია. ერთმანეთთან ანგარიშსწორებას აყოლილ უფროსებს იშვიათად ახსენდებათ ფაქტის წინაშე დამდგარი პატარების გაკვირვებული და დამფრთხალი თვალები.

განქორწინების პროცესში სხვადასხვა შესაძლებლობებისა და ემოციების ადამიანები — ბავშვები და უფროსები მონაწილეობენ. პერსპექტივებიც ამ ორივე მხარისთვის ძალზე განსხვავებულია... მოწიფულმა ადამიანმა შეიძლება იოლად შექმნას ახალი ოჯახი, იპოვოს ცხოვრებაში ახალი სიხარული, მაგრამ ბავშვი ხომ ვერასოდეს ველარ შექმნის ახალ ოჯახს?! თუმცა მეცნიერები იმასაც ამბობენ, რომ არც განქორწინებული დედ-მამისათვის არის შემდგომი ცხოვრება იოლი. ერთ-ერთი სოციოლოგიური გამოკვლევა იმასაც კი ამტკიცებდა, რომ განქორწინებულ მამაკაცთა 70 პროცენტი ნაადრევად ბერდება, ხოლო 40 პროცენტი საერთოდ ნაადრევად ტოვებს წუთისოფელს.

სამართლიანობისათვის ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მკვლევარის აზრით, განქორწინებული მშობლების ბავშვებს გარემოსთან შეგუების უფრო მეტი უნარი შეიძლება ჰქონდეთ, ვიდრე იმ ბავშვებს, რომელთა ოჯახშიც განუწყვეტელი კონფლიქტები და დაძაბულობა სუფევს. თუმცა საკითხავია, რა ფსიქო-ემოციური დაძაბულობის ფასად?

და მაინც, განქორწინება ტრაგიკული მოვლენაა ბავშვის ცხოვრებაში. პატარებს თითქოს ეკარგებათ ცხოვრების აზრი, გაურბიან მეგობრებთან კონტაქტს. მშობელი ბავშვისათვის მხოლოდ მარჩენალი როდია, სამწუხაროდ, ბევრი მო[illegible] მიანისაგან გაგვიგია: [illegible] ფერს მოვაკლებ, საჭმელ-სასმელი და ტანსაცმელი არ მოაკლდებაო, მაგრამ, „საჭმელ-სასმელზე“ სწორედ რომ ნაკლებად ფიქრობს ბავშვი. დედმამა მისთვის უცხო და ზიფათით აღსავსე ცხოვრების ხიდია. გიგრძვნიათ რა ნდობით და სიხარულით ჩაფრენია პატარა, პაწია ხელებით მისკენ გაწვდილ თქვენს თითებს. დედ-მამა ხომ ციხე-სიმაგრეა ბავშვისა.

სოციოლოგების მიერ დადგენილია, რომ განქორწინების პროცესი უფრო ნაკლებ მტკივნეულია ბავშვისათვის, ვიდრე განქორწინებული მშობლების ცალ-ცალკე ურთიერთობა ბავშვთან.

ამერიკელი მეცნიერების — ქეილის და ვოლტერსტეინის მიერ სკოლამდელ ასაკის ბავშვებზე ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ განქორწინება, განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს ბავშვის ცნობიერებაზე. ამ ასაკოვანი ჯგუფისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია აღგზნება, აგრესიულობა და ბავშვების თითქმის ნახევარზე მეტისათვის მძიმე ფსიქოლოგიური სტრესი. იმავე მკვლევარების აზრით, განქორწინებულთა ბავშვებში დიდია შიში და დეპრესია, იზრდება ნევროზები და მარტოობის გრძნობა. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვებს უვითარდებათ ასთმა, ეპილეფსია, დიაბეტი. განქორწინებამ შესაძლოა ფსიქოსომატიური კრიზისიც კი გამოიწვიოს.

კოზმანმა და ფროილენდმა სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქიკისათვის განქორწინების ფაქტი მშობლის სიკვდილის ტოლფასად მიიჩნიეს. მეცნიერებმა შექმნეს გარკვეული მოდელი, რათა ეჩვენებინათ როგორ კარგავს განქორწინებისას ბავშვი მშობელს. ამ მოდელის მიხედვით, ბავშვები გაივლიან 5 საფეხურს, სანამ საბოლოოდ გაიცნობიერებდნენ მშობლის დაკარგვას: ა) დასაწყისისათვის ბავშვი საერთოდ არ ღებულობს განქორწინების რეალობას; ბ) უარყოფას მოსდევს გაღიზიანება და სიბრაზე; გ) შემდეგ მშობლების შეკავშირების განწირული მცდელობები; დ) დეპრესია, საკუთარი უსუსურობისა და შეურაცხყოფის გამო და ე) ბოლო ეტაპი ანუ განქორწინების რეალობის მიღება.

ქორწინებისა და განქორწინების თავისუფლება, პიროვნების თავისუფლების აუცილებელი პირობაა, მაგრამ ბავშვები?

ბავშვებისათვის დედ-მამის განქორწინების უფლება პიროვნების თავისუფლებას არ ნიშნავს, იგი პატარა პიროვნების ტრაგედია.

# ოჯახი მარტო სიყვარული როდია

უმარტივესი მექანიზმის — ველოსიპედის მართვა რომ შეძლო, უნდა ისწავლო.

თუ არავინ გასწავლა, რამდენიმე დაცემა და ტრამვა განაღდებული გაქვს. ოჯახი, რაღა თქმა უნდა, ველოსიპედზე რთული სამართავია. ვინ, სად, როდის და როგორ ასწავლის მის მართვა-გაძღოლას ან ვაჟს ან გასათხოვარ ქალიშვილს? უფრო ხშირად — არავინ, ან შემთხვევით, აქა-იქ. შედეგიც მძიმეა. ახალგაზრდებს უჭირთ ოჯახის მეურნეობის გაძღოლა. რასაც ხშირად მოჰყვება ტრამვა და ზოგჯერ ოჯახის დაშლაც კი.



ერთ დღეს შვილი [illegible] წავიყვანე. პატარამ ატრაქციონებით გული რომ იჯერა, კაფეში შევედით. მალე ჩვენს მაგიდას ორი მშვენიერი გარეგნობის გოგონა მიუჯდა და საუბარი დაიწყეს. უნებლიე მსმენელის როლში აღმოვჩნდი.

— მაკა, რამდენი ხანია არ მინახიხარ. როგორ ხარ?

— როგორც ოჯახის ქალს შეეფერება —განამაწიაში. გათხოვების შემდეგ პირველად გამოვედი პაერის ჩასაყლაპად. სულ მეჩქარება, სულ სადღაც გავრბივარ. ხომ ხედავ, რა გადაღლილი სახე მაქვს... შენ მშვენივრად გამოიყურები, ხინიკო, დიეტაზე ხარ?

— რომ არ გინდოდეს, დღევანდელი ეკონომიკა იძულებით დაგსვამს დიეტაზე. მე დეკრეტულში ვარ, გიამ კი ვერსად იშოვა მხატვრის ადგილი. მის რომელიმე სახატს თუ გავყიდით. ხომ კარგი, ხან ორი ათასს ავიღებთ, ხან სამს, თუ არადა — ვართ ცაში გამოკიდებულები.

— თქვენი საქმე კიდევ კარგად ყოფილა. ორი ათასი მანეთი ჩვენი ოჯახის წლიური შემოსავალია. ზურა საპროექტოში მუშაობს ინჟინრად. ! ძისი ხელფასი პურის ფულად თუ გვყოფნის. ჩემი საფიქრალი ადრე დილით ბავშვის გაღვიძებისთანავე იწყება. ხან ყველს მომთხოვს, ხან კარაქს და კატლეტს. მაღაზიაში რას იშოვი, თუ რამე იყიდება, ისიც უზარისხოა. იძულებულები ვართ, ყველაფერი ბაზარში ვიყიდოთ. ამას წინათ ზურამ ნახევარი თვის ხელფასი დახარჯა და ნაყიდი სურსათი ერთ კვირას ძლივს გვეყო. კიდევ კარგი მშობლები გვეხმარებიან, თორემ ბავშვი, ალბათ, ნახევრად მშიერი მეყოლებოდა. ტანსაცმელზე და ფეხსაცმელზე აღარაფერს ვამბობ, მხოლოდ ვოცნებობ. კერვა მაინც მეხერხებოდეს. ამას წინათ ბავშვის შარვლის შეკერვაში სამოცი მანეთი გადამახდევინეს. ბებიაჩემს ქალთა გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. თურმე რას არ ასწავლიდნენ — კერვას, ქსოვას, ქარგვას, უცხო ენებს, მუსიკას, ქცევის წესებს, — ერთი სიტყვით ყველაფერს, რაც ჭეშმარიტმა ქალმა უნდა იცოდეს. მე კი ნემსში ძაფს ძლივს ვუყრი. სკოლაში შრომის გაკვეთილებზე მასწავლებელს, იმის მაგივრად რაიმე ესწავლებინა ჩვენთვის, უსარგებლო ლაპარაკში გაჰყავდა დრო.

— შრომის გაკვეთილებს ნუ გამახსენებ. მასწავლებელი გვეტყოდა, ოღონდ ნუ იხმაურებთ და რაც გინდათ ის გააკეთეთო. ჩვენც მეტი რა გვინდოდა. კერვა დედაჩემმა მასწავლა. რომ იცოდე, როგორ გამომადგა. ეს კაბა არ გეცნობა? კარადიდან ძველმანები გადმოვალაგე, დავლამე,

გადავაკეთ-გადმოვაკეთე და იძით დავდივარ, თორემ დღევანდელი შეშლილი ფასების შემხედვარე, ახალს კარგა ხანს ვერ ველირსები.

ზოგიერთს ისე იოლად აქვს ფული ნაშოვნი, არ იცის, რაში დახარჯოს. ამას წინათ ერთ-ერთ კომერციულ მაღაზიაში შევედი, ვიფიქრე თვალს გავახარებ-მეთქი. ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა ორ ცალ „ბანბანერკაში“ სამი ათასი მანეთი გადაიხადა. ერთი იქვე გახსნეს და ჭამა დაიწყეს. ყველამ ზიზღით შეაქცია ზურგი. ან კი რა აზრი ჰქონდა რაიმეს თქმას.

— ვერც მე გავიგე ხალხის რომელი კატეგორიისათვის არის განკუთვნილი ეს მაღაზიები. მაგრამ ფული რომ მქონდეს, მაინც ვერ გადავიხდი ხუთი ათას მანეთს კაბაში. რაღაც შემაჩერებს, რაღაცის შემრცხვება. ხალხს ნახევარი კილო ყველი ენატრება და მე კაბაში ამდენი მივცე? თუმცა ერთი დაუძლეველი „სისუსტე“ მეც მაქვს. ყველაფერზე შემიძლია უარი ვთქვა, მაგრამ კარგ წიგნს თუ წავაწყდი სადმე, სული წამძლევს. ამას წინათ ოთხმოცი მანეთი დავხარჯე წიგნებში. მეორე დღეს კი ბავშვისათვის რძის ფული დედაჩემს გამოვართვი. მაგრად გამომლანძღა, ფულის ხარჯვა არ იციო. საიდან მეცოდინება. არც სკოლაში უსწავლებია ვინმეს და არც ოჯახში. ოცდაცხრა წლის ვარ და ახლა ვერკვევი ელემენტარულ საკითხებში.

— მე ვერ ვაძლევ ჩემს თავს ამდენ უფლებას. ძალიან რომ დამწყდეს გული რაიმე ნივთზე და ფულიც მქონდეს, მაინც ვერ ვიყიდი. ოჯახის ბიუჯეტი ძირითადად ბავშვის მოთხოვნილებებზე მაქვს გაანგარიშებული, ყოველ კაპიკს გამიზნულად ვხარჯავ. გათხოვებამდე პურის ფასიც არ ვიცოდი. ყველაფერი მზამზარეული მქონდა, დედაჩემი ხელს არ მანძრევინებდა, საქმე მერეც გეყოფაო. ყოველგვარ სიძნელეს მარიდებდნენ. ფაქტიურად უსაქმური ვიყავი. რომ იცოდე, როგორ გამიჭირდა სრულიად უცხო ოჯახში რომ შევედი. ყველაფერი ერთბაშად დამაწვა მხრებზე. არაფრის გაკეთება არ ვიცოდი. ყოველ ნახევარ საათში დედაჩემთან ჩუმად ვრეკავდი, რჩევას ვეკითხებოდი. თან მრცხვენოდა. ბავშვის გაჩენის შემდეგ ხომ საზრუნავი და საქმე გამიორმაგდა. თუმცა რას გიხსნი, ეს განა მარტო ჩემი და შენი გასაჭირია? ჩვენი თაობა ისე უდარდელად გაზარდეს, თითქოს ცხოვრების გზაზე მხოლოდ ია-ვარდები ელოდათ.

ადრე მეგონა, რომ სიყვარული შეუძლებელს შემაძლებინებდა, მაგრამ ცხოვრებას პირისპირ რომ შევეჯახე, ბევრ რამეზე ამეხილა თვალი და მართალი გითხრა, შევკრთი.

ახალგათხოვილი ვიყავი, როცა ბაზარში პირველად წავედი. სამოცდაათი მანეთი წავიღე, რაც საკმაოდ სოლიდურ თანხად მეჩვენებოდა. ჩემი გაოცება უნდა გენახა, როცა ხორცის ფასი ვიკითხე... დედაჩემი ხშირად კი წუწუნებდა, ბაზარში ყველაფერი გაძვირდაო, მაგრამ არასოდეს დავინტერესებულვარ მაინც როგორ ახერხებდა, ყოველდღე გვქონოდა სადილი, უპრეტენზიო დესერტიც. მალე ფული ისე შემომელია, ტაქსისთვისაც აღარ დამრჩა ორი მანეთი. ავტობუსის გაჩერებაზე მძიმე ჩანთებაკიდებული ქალების დაღლილ, გატანჯულ სახეებს რომ შევხედე, მივხვდი, ჩემი ცხოვრების ბედნიერი, უდარდელი ხანა დასრულდა. დღეს ქალად გაჩენა, მე მგონი, სასჯელია.

— ეჰ, ჩემო კარგო, არც კაცები არიან უკეთეს დღეში. ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა ხელფასით სახწაულმოქმედსაც გაუჭირდება. ჩემმა ნაცნობმა სხვა გამოსავალი რომ ვერ ნახა, მსახიობობას თავი დაანება და კოოპერატივში დაიწყო მუშაობა, ბიფუტერიას აკეთებს. თვეში ათას, ათას ხუთას მანეთს უხდიან. მაგრამ ყველა კოოპერატივში ხომ ვერ წავა სამუშაოდ? თანაც ტელევიზორთან ჯდომით გასავათებული ბიჭების — ქმრების უმრავლესობას როგორ აკადრებ, წადი და ფიზიკურად მაინც იმუშავე, ოჯახს რჩენა ხომ უნდაო. თან დედამთილი რომ თავზე გადგას...

— მართალი ხარ. ზურას რომ ვუსაყვედურებ, მეტყვის, მეტი რა ვქნა, ვმუშაობ, ხელფასი მომაქვს, ყაჩაღობას ხომ არ დავიწყებო.

ნიჭიერია, ყველაფერი ეხერხება, სახლში თუ რამე გაგვიფუჭდება, თვითონ აკეთებს, მაგრამ ინერტულია, რაც აქვს, იმითაც კმაყოფილია.

— გიაც „არაამქვეყნიურია“. დილიდან საღამომდე ხატავს ან კითხულობს. ამას წინათ წიგნები ვუყიდე და სამი დღე ხელიდან ველარ გამოვგლიჯე. რომელიმე სურათს თუ შეელია, გაყიდვაზე მე უნდა ვირბინო. ფეხმძიმედ რომ ვიყავი, ქალთა კონსულტაციის მთავარ ექიმს თითქმის ძალით გავაფორმებინე ნახატების შეკვეთები გიას მაგივრად. რა მექნა, ვიცოდი, რაც დამიჯდებოდა ბავშვის გამოყვანა სამშობიაროდან. მაგრამ მაინც ვერ ვსაყვედურობ. იმაზე ვნერვიულობ, რომ ნიჭითა და შრომით ჯერჯერობით ვერაფერს ვერ მიაღწია. არც ნერვიულობით გამოდის რამე. ახლა დავრწმუნდი, ადამიანს რაც უწერია, ის არ ასცდება.

— მე კი ნერვები აღარ მყოფნის. გადავიღალე ამდენი ფიქრისგან. ჩემგან ხმამაღალი სიტყვა არავის ახსოვს, ახლა უბრალო რამეზე ისე ავფეთქდები, მერე მე თვითონ მრცხვენია. ამ ბოლო დროს ხშირად ვჩხუბობთ. რამდენჯერ გამიგია, სულ უბრალო მიზეზის გამო დაინგრა ოჯახიო, არადა, ვინ იცის, რამდენი ცრემლი, უძილო ღამე, უსიხარობა, ნერვიულობა იმალება იმ „უბრალო მიზეზის“ მიღმა...

უკონფლიქტო ოჯახი, ალბათ, არ არსებობს, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ოჯახური სიმყუდროვე ბევრად ყოფილა დამოკიდებული მატერიალურ კეთილდღეობაზე. კეთილდღეობაში მე არ ვგულისხმობ უზომო ფულს, სამკაულებს, მაგრამ აუცილებელზე უარის თქმა ძალზე ძნელი ყოფილა.

— როცა ძალიან გამიჭირდება, ნერვებდაჭიმული, გადაღლილი მშობლების სახლს შევაფარებ ხოლმე დროებით თავს. იქ ალბათ გრძნობენ, რა მიჭირს, რაც შეუძლიათ მიმსუბუქებენ დარდს, თავს მევლებიან, მეფერებიან.

ადამიანს, პირველი რიგში, საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს, ჩვენ კი უმაღლესდამთავრებული ქალები დღესაც დედ-მამის ხელის შემყურენი ვართ. ზოგჯერ მშობლები ფულს რომ შემომთავაზებენ, არ ვართმევ. მაქვს-მეთქი, ვატყუებ, იმიტომ რომ მრცხვენია. იმ ოჯახების მშურს, დამოუკიდებლად რომ ცხოვრობენ. შეიძლება ბევრი რამ აკლდეთ, მაგრამ, რაც მთავარია, სიყვარული და ურთიერთპატივისცემა ხომ აქვთ? მე კი უკვე იმის მეშინია, მალე ოჯახში სიყვარულის დეფიციტიც არ გაჩნდეს...

გულდამძიმებული დავბრუნდი შინ. სრულიად უცხო ქალების დარდი გასაგები იყო ჩემთვის. მეც ხომ პატარა ოჯახი მაქვს. თავისი პრობლემებით, ტკივილებით, სიხარულით, მომავლის იმედით სავსე.

ხვალინდელი დღე — ნეტავი როგორი იქნება იგი ახალგაზრდა ოჯახებისათვის.

მარინე ნაკაიძე

P.S თქვენ რას ურჩევთ, მკითხველო, ამ ახალგაზრდა დედებს. იქნებ თქვენი გამოცდილება სასიკეთოდ წაადგეთ მათ.

ასეთი პრობლემების წინაშე ხომ მრავალი ახალშექმნილი ოჯახი დგას? თქვენ როგორ იწყებდით, როგორ შეინარჩუნეთ გაჭირვებისას ურთიერთპატივისცემა და სიყვარული?

ველით თქვენს რჩევას, იმედს, გამხნევებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საფო მგელაძე

ღვთის ნებით საქართველო განებივრებულია ნიჭიერი პოეტებით. და მაინც, პოეტისავე პერიფრაზს რომ გამოვიყენოთ, „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა მუზა დახაკარგავი?"

უსამართლო დრომ, სოციალურმა და პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა თითქოს დავიწყების ფერფლი წააყარეს 20-30-იან წლებში ერთად განთქმულ რომანის „ლიანა ლირიკის" და მრავალი ლირიკული ლექსის ავტორს საფო მგელაძეს. მაგრამ, სასიხარულოდ, ისევ ვუბრუნდებით პირველ ეროვნულ ფასეულობებისაკენ, ისევ ამოიწევა ბრწყინვალე ეპოქიდან დავიწყებული სახელები.

წელსაც საფო მგელაძეს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. გთავაზობთ რამდენიმე ლექსს პოეტის არქივიდან, რომელიც რედაქციას შესთავაზა მისმა ქალიშვილმა მუზა მგელაძემ.

## ნუ მილოცავ

ო, ნუ ამბობ – ქრისტე აღსდგა,
ნუ მილოცავ აღდგომას,
როცა დარდი გულს მიპყრობს,
მცა ფიქრის ნისლში ვკრთები.

ნუ მილოცავ, – ქრისტე აღსდგა,
მე ქვეყანაში, ცრემლის ღვარში,
როცა ქრისტეს წმინდა მუხლს,
აძრულა სისხლის ზღვაში.

როცა ნაცვლად სამრეკლოს,
ჯაჭვის ჟღერა მესმის, მერე
რომ მლოცავი კვლავ მლოცველობს
და ცრემლებს ღვრის ურჩევარი.

როცა მხარეს, ხევს მხარე,
სისხლის ტბაში ჩაიხრჩობს,
რომ ალაგზე მიყვა ჯარი
ვლოცავ ნაშთებ მოუსვრია.

როცა ღამით ცრემლი აჩრდილს
და ხიფათს – სიბნელეში,
რომ სიმთვრალე, ხილვების
დაჩრდილა მწარე ბრძოლა.

ო, ნუ ამბობ, – ქრისტე აღსდგა,
მე ქვეყანაში ცრემლის ღვარში,
როცა ქრისტეს წმინდა მუხლს
აძრულა სისხლის ზღვაში.

1922 წ.

## შალვა დადიანს

შენს ცრემლ თვალებში სევდიანი ჩანს საქართველო,
თუთ საქართველოს მწვავე დარდი მოდიოდა შენს სახეს...
ჭრილობებ სულის, მისი ვაჟის ურცხვნილი მეგული,
ამბობენ ამ ჩვენს დაქირავებს, ჩვენს სიყვარულისას
ვინ ვერთ მეტყველება გრძნობით ნაზი, გულით ნათელი,
შენს ცრემლ თვალებში სევდიანი ჩანს საქართველო.

ცხოვრება ნაწიწამი მოსწრაფულია არ დამარცხდება,
ქედს არ მოიხრის მტრის წინაშე არსადროს ქედი,
პირისპირში ხუნძიც იზეგვება, ილოცებს,
დიდებულ ხომალდს ვარსკვლავ ხმარდ ნაპირი,
აკლდეს მეუფე არწივებს დიდებულნი
და მეუფე ლომი ადგენდნენ მტრის შეხანხარდ.
დღეს ჩემი ლოცვა, ჩემი ლექსი მხოლოდ შენია,
ოცნებლე ქარს სარეკლამოდ, მის გახარდ!
აკლდეს მეუფე არწივებს დიდებულნი
და მეუფე ლომი ადგენდნენ მტრის შეხანხარდ.

1930 წ.

## მაშინ

მაშინ, როცა საქართველოს მეფერად ხატავ მტერს მეხიდლი,
რომ სიმშრალის გამოსრბავს, რომ სალთის გარე ძილი,
გამხდარ ხილვა ცას ტაძარზე, მოულაგე, მოულაგე
მე წამოდგა ამირანი და დაიმხვერა ჯაჭვი მძიმე.
დიდება ტაძარ სიხარულის, სიზმარი, სიცოცხლე,
და დავუთვლიათ სულ ვველაფერს, თუმცა არ გვესმის წყვილი დგომა,
დაუთვალიათ ლამის გრძნობით, ლამის სიტყვით, ტბილი მაწვარი
მხატვარს სიტყვა მოუხუცა, აწყობილად მეფის ხანს...
და გაიხსა სიმღერებით, იქედა დიდი ცრიალმული
ამ ზღვა გრძნობის, ამ სიხარულს ვერ იტევდა მაშინ გული,
დიდება ტაძარ, ადიდებულმა ჩაიწყერდეთ ჩაიარა
და გაიხსნა ჩვენი ტანჯვა, ჩვენი წყლული და იარა.

1925 წ.



## ბაგრატის ტაძრის ნანგრევები

ვნახე ტაძარი ბაგრატის ქმნილი,
ვნახე წარსულის ნაშთი რღვეული,
ვნახე სიდიადე ულმობლად დანგრეული
ვნახე კედლები სამარცხვინოდ.

ვნახე იქვეშ მიუსაფარი,
ქვები კოშკები ნაწყვეტიანები

და მათ ახვეულ წელთა კოშკზე,
თუკი დაგინდა, დაჭრილი, შემრჩება...

შემრჩება კედლებიან, შემრჩება ამანი,
რომ მიდამო გამოძერწილი სიკეთეები
სხვანი,
რომ ცხოვრების გზა ცუდად ბედავდა,
რომ თავისთავად ვერ მოვიგონა.

ვერ! თუ ასე ნუგეშ აღარ დარჩა,
ძველს როგორ აბობ, ძველს როგორ
ვტირავ?!
ვერ მეგონა სახლს არ დაიმშობს,
ახალ ხეს დარგავს, ძველს არ გასხმობს.

შენ კი, ქართველო, ამა რა გქვია,
და ან რას ამბობს შენი სახენი,
რა ვაცქეთ, რა შეაბრუნა,
ღვინო დალია, წაიდღდება?!

ადგილ-მამული ნაღდრავი,
ვერ შეიძინე, ვერ დაიცავი,
ოთათა-ოროლი ყრილობ ეპიდემი,
გაიძახოდი „მიცა და მიცა"
ხმალი კეთილი უქმად დაჟანგდა
და ამ მახეში ჩხუბ დაიტია
შენი ქონება, შენი სახლ-კარი,
ასე, რღვეული დიდი ტაძარი.
და ქართველო მე ნუთუ სად არის?!
როდ არ აპოვა ამ მთის მწვერვალზე?!
რა ავიდო ნუგეში თვალზე?!
როდ არისა გრძნობს, როდ არის ზეცის?!
მტერი დანაყოფს როგორ ეზდება?!
ვნახე ტაძარი, ბაგრატის ქმნილი,
ვნახე წარსულის ნაშთი რღვეული,
ვნახე სიდიადე ულმობლად დანგრეული
ვნახე კედლები სამარცხვინოდ.

## ავარა

ეს დაბეს, ველ-მინდვრები,
ამ მხრის ურცხვლი ტანი,
ტიბულეთი, მთები და
მეზღვაურ-დაშისტანი.

წინათ კოლხეთს ვცეკვავდი,
კოლხეთს აშენებდა
და ის დეიდ ძმას ურთა გულა
სიყვარული ლექსა.

თუ იცი ძმა, ურთ იტალიში
ურთის ვარდენით იმუა,
ამათ მთიან არ იქნება,
მერქანა და ვათიშუა.

ძველი კოშკის სანგრევები,
რომ იტიცებს თვალებს,
ამ სიყვარულ თავის შვილებს,
იცით, რას ავლებს?

ვეძნები – თქვენს მეფის ხარი,
ცეცხლებდა სოფლის,
ამ ჩვენ კედლებს მეჯოჯის ხანდა,
სისხლიც და ოფლიც.

სულ ვულ ვუყურებდი
მტრის ურდოებს წყვილს,
სულ ვლევდა რკინის შინით,
საქართველოს სხეულს.

და თქვენც ამ დროს ასტროიან,
თქვენი სისხლით სწვრფით
და სამშობლოს იფარავდით,
მარტვილები მკერდით.

თქვენ ურთ ვაქვთ მოსწრაფება,
ვულო, ვარი, ური,
მაშ ნუ ვავერით ნურასოდეს,
თქვენს სიკეთეს რწმენა.

ძველი კოშკის სანგრევები,
რომ იტიცებს თვალებს,
ამ თავის ურთვულ შვილებს,
რას ხიბლავს, რას ავლებს.

100
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუნუ დალაქიშვილი

# ჩემი ქალობის ჩიტი

მერაბ კოსტავას ხსოვნას...

ნაზად წვიმდა... გაზაფხულის ქინქლით გაქლენთილიყო თბილისი... ქალაქის ქუჩებში მიმავალი ხალხი თითქოს ამ წვიმით ცოცხლობდა... ჩვენს მანქანაშიც აღწევდა წვიმის წვეთები. წინ დიდი გზა გვედო, გზა მზისა და მთვარისა, თოვლით, ქარით, წვიმითა და ღრუბლებით დაფერილი...

თბილისს გამოვცდით. „მცხეთასთან მტკვარი მშვიდი და წყნარია"... მტკვარი – ლურჯი მდინარე, საქართველოს მიწაზე ცალი წარბივით ჩაუხატია განგებას... გზას მივუყვებით. „გზას, ყველაზე მარადიულს და უკვდავს ამ ქვეყანაზე!"... ჩვენს გზას გაქცევა ჰქვია ალბათ, რაღაც უხილავი ჯაჭვების წყვეტის, განთავისუფლების...

შენთან ერთად ვქაჩავ სიგარეტს და ეს „ქესტიკულაცია", ეს ხელი მოძრაობა ცეკვა „ხამაიას" მაგონებს... თითქოს „ხამაიას" ორნი ვცეკვავდეთ, თანაც დამსხდარნი – „ორმაიას", ვფიქრობ ამაზე და გიჟივით მეცინება... შენ არაფერს მეკითხები და ისე გეცინება...

ეხლა ვხვდები, რომ მთელი ჩემი ცხოვრება წინასწარ ჩაწერილი ფონოგრამაა. მთელ დღეებს ხომ თეატრში ვატარებ: დილას რეპეტიცია, საღამოს – სპექტაკლი, შუადღისას – ძილი... მიკროფონი ტყუილად მიჭირავს ხელში, ტუჩებს ვაყოლებ ტექსტსა და მუსიკას, თავზე თხისრქებმიმაგრებული, ტლინკების ყრით დავრბივარ სცენაზე, დარბაზი წლების წინ ჩაწერილ ჩემს ფონოგრამას ისმენს... მერე კი ტაში... ხანგრძლივი ტაში, ბავშვური ხელების ტყაპა-ტყუპი... ჩემს წინ დგებიან მთავარი გმირები, მუხლებამდე ხრიან თავს, მე კი ლამის მათ ფეხებში შევიჭედო ჩემი რქებიანად!... მერე კი მოსამართი თიკუნებივით უკან-უკან გავრბივართ კულისებში, სახიდან გრიმის მოცლას ძლივს ვასწრებთ, ვჩქარობთ, შინ როგორმე ცოტა ადრე რომ მივიდეთ.

ისე შევეჩვიე სხვისი სიტყვებით, სხვისი დაწერილი სცენარით ცხოვრებას, რომ საკუთარი სათქმელი „ვაის" მეტი თითქოს არაფერი გამაჩნია. ავადმყოფივით შევეჩვიე, რომ ჩემი სული ჩემი სხეულის ციხეში იყოს გამომწყვდეული ჩიტივით...

ეს ჩემი ქალობის ჩიტია, უცნაურად, ნაადრევად რომ ჩტის და მაშინებს, ფრთების გაშლასა და ზეცას ამაოდ რომ მთხოვს...

– ზურა, შენ ეხლა მწვანე, მკვახეყურძნისფერი თვალები გიჩანს... იმიტომ, რომ არემარეც მწვანედ ბიბინებს... ისეთი მაღალი ხარ, საჭესთან ლამის მოხრილი ზიხარ, წაბლისფერ თმებში ჭაღარა შეგპარ-



მხატვარი კარლო ფაჩულია

კია, ხელები ამდენი შრომისგან (ადვილია თაბაშირის დამუშავება?!) ქვისგან გამოთლილს მიგიგავს, ისეთი გამომშრალი, ძლიერი და უხეშია.

ზურა, გახსოვს? ჩემი პორტრეტით (ბიუსტით) დიპლომი რომ დაიცავი და მთელი აკადემია აალაპარაკე, ახლა კი სადღაც ტილოგადაფარებული, ბზარშეპარული, სახელოსნოს ცუთხეში გიგდია, ცხენების ფლოქვებსა და ტორებს შორის...

შენ რაც ამ მანქანების შეკეთებას მიჰყავი ხელი, თითქმის არაფერი შეგიქმნია ღირებული. ფულს ძალიან ადვილად შოულობ, „ოქროს ხელები“ გაქვს... აკადემიადამთავრებული ხელოსანი ვის არ უნდა. ამან გაგაფუჭა!!!

– ხო, – მპასუხობ შენ, კამათი საერთოდ არ გიყვარს.

– გახსოვს, სტუდენტობის დროს ხელიხელჩაკიდებულნი რაზე ვოცნებობდით? – ერთი კარგი ბინა, კარგი ჭერი გვქონოდა და ბევრი, ბევრი შვილები გვყოლოდა...

– ახლა კი მანქანა გვაქვს, ტრასა კარგია და მუსიკა არ გვაკლია, – ამბობ შენ.

– თითქოს ბედნიერებიც უნდა ვიყოთ, არა?! – დედაშენს კი არ მოსწონს, შენზე რამდენიმე წლით უფროსი რომ ვარ. ექიმ ქალს გიროგებს (ო, როგორ მესმის მისი) მხახიობი არ უნდა რძლად. ამასწინათ მელაპარაკა, ჩემს შვილს თავი დაანებეო, მე კი ვერ დავარწმუნე, რომ ათი წლის სიყვარულის ჩაქრობა ეგრე ადვილი არ არის. ეს სახარება მაჩუქა, იქნებ ამან მაინც მოგიყვანოს ჭკუაზეო. დედაშენი ძლიერ მორწმუნე ქალია, იცი?

– ვიცი, პეპელა... ვიცი, რადგან სახარება გაჩუქა, მე მგონია, ახლა ყველაფერი უფრო კარგად იქნება, – და ჩემს გაყინულ, ნერვიულად მოძრავ თითებს მაგრად უჭერ გავარვარებულ ხელს...

ვინ ვარ მე შენთვის? – ძნელია ამაზე პასუხის გაცემა... რომანტიული ბუნება გაქვსო, მეუბნები, ამით მომწონხარო. ვითომ მოგწონვარ?

ადრე, იქნება ლამაზიც ვიყავი, ახლა რა ვარ? – ერთი უფუნქციო ქალი, შენიღბულ ქალობას პარიკივით რომ ვატარებ, ღამით კი სიმარტოვეში დარჩენილმა ეს ბორკილი ლამის იატაკზე მოვისროლო, დილით კი ჩემი სიყვარული ახალ სხეულსა და სულს იდგამს და ვიწყებთ ერთმანეთის ძებნას. ზურა, ზურა!!!

...როცა თეატრში რაიმე როლს ვთამაშობ, ასე მგონია ჩემში დროებით სხვა ვინმე სახლდება. ის მოძრაობს, ის მართავს ჩემს ძვლებსა და კუნთებს, მე კი ბრმასავით დავყვები უკან, თუმცა ირგვლივ ყველაფერი განათებულია, მაგრამ თითქოს ვერაფერს ვხედავ, მხოლოდ ბავშვების გულწრფელი შეძახილები, ტაში, ხარხარი, ყიჟინა მახარებს, მამხნევებს... მათი თვალები სიბნელეში ნაპერწკლებივით კვესავენ, ჩემს სულს ცეცხლსა და შუქს აფრქვევენ.

მაგრამ დადუმდება დარბაზი და ყველაფერი კვდება, ზღვა სიმარტოვე უეცრად გულზე მომაწვება და წამლეკავს... გეძებ შენ, რომ ამ დროებით სიკვდილს გავექცე... შენ კი, ვინ იცის, მერამდენედ უყურებ ამ ლამის მარადიულ სპექტაკლს და ბავშვივით გიხარია! მერე საჭესთან ჯდები, რომ შინ მიმიყვანო, წინ დაძაბული, დაღლილი ისედები, შენც მოგბეზრდა ეს ეგრეთ წოდებული სიყვარულის ტრაგიკომედია. აი, ნაცნობი ქუჩა, სახლი, აივანი – ჩვენი გაყრის ადგილი.

– ასე მგონია, გულის ადგილას მოტორი ჩაგიდგეს, – ვამბობ გაუბედავად. სხვა რამეს უნდა გეუბნებოდე, სულ სხვა რამეში კი გდებ ბრალს...

– დაიღალე, ძალიან დასუსტდი, რა მოგდის, შე მართლა პეპელა, რა მართალი სახელი შეურჩევიათ შენთვის, ჩემო პეპელა, ჩემო პეპე, შენ, როგორც ყოველთვის, ახლაც აზვიადებ!

– ძუნწი ხარ ლაპარაკში და სულ არ გეხერხება წესიერი საუბარი, ნამდვილი თაბაშირის კაცივით გახდი, – გიბრაზდები მე, მანქანის კარებს მაგრად გიჯახუნებ...

მართლაც, ერთი შეხედვით პეპელასავით უზრუნველად ვცხოვრობ, ოღონდ ეს უზრუნველობა მაწუხებს, მტანჯავს, ვიღლები... მივსიკვდილდი – მუსიკავ, პოეზიავ, ლექსო, სადა ხართ, მიშველეთ!!!

ოჰ, ჩიტი, ჩიტი სულ დამავიწყდა... ჩემს სხეულში კვლავ შეფრთხიალდა, შემაშინა, შემაკრთო... ჩემი ქალობის ჩიტი – ჩემი ბავშვია, სასიკვდილოთ განწირული ბავშვი, რომელსაც, ვინ იცის, რამდენედ. შენს ურუმრად ვიცილებ თავიდან! შენ უნაყოფო, უ... ბერწი ქალი გგონივარ, ისეთი გამხდარი ვარ, „ჩონჩხი“ – რ... შენ შემარქვი, ძნელი დასაჯერებელია, ამ სხეულმა დედობა შესძლოს, არა?! ვაი, რომ სცდები, ძვირფასო, სცდები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

– ჩემო პატარავ, შენს გულის ფეთქვას, შენს ტუჩებს, თვალებს ხელს ვაფარებ და იმ სავარძლისკენ მივბობღავ, რომელსაც სიკვდილის სავარძელი ჰქვია... ვიცი, იქიდან მარტოკა, სულდაგუბებული და სხეულდამძიმებული გამოვალ... ჩაქოლილი, დაწიხლული ცხოველივით მივეგდები და ისტერიულად ვიყვირებ: – არ შემაწუხოთ, ძილი მინდა! ჩემი ქალობის კვდომას კი ირონიული ღიმილით უმზერენ თეთრხალათიანი „ჯალათები“. თეთრად შეღებილ ჭერს ვუმზერ, მაგრად ჩარაზულ ფანჯრებს და თითქოს განკითხვის ჟამს ველოდები... რაღაც სასწაულს ვუცდი... და მაგონდება სახარებიდან: „ნეტარ არს, ვინც არ შემცდარა ჩემში...“, „მოვა ძე კაცისა, ვინც იხსნის ჩვენს სულს...“ „ნეტარ არს..., მოვა ძე კაცისა, ვინც...“

თითქოს მიწა იძრაო, შეტოკდა შენობა... ჩარაზულ ფანჯრებს მიაწყდნენ ლურჯხალათათრეული ბანგგამოვლილი ქალები...

თავი წამოვწიე, რა ხდება? – ვიკითხე ჩუმად. ფანჯარაში ძლივს ვიყურები. არავინ მპასუხობს, დამუნჯებულნი შეჰყურებენ ზღვა ხალხს, ქუჩას რომ მოაპობენ და თამამად მოდიან... ოთახშიც აღწევს შეძახილები...

ცალ ხელზე ვეყრდნობი, მეორე ხელის ვენაში წვეთოვანი მაქვს ჩადგმული.

ახალგაზრდები სამფეროვანი დროშის ფრიალით, სიცილით, ეშხით მოაბიჯებენ, მოდიან, თითქოს რკინის მესერშემოვლებული ეს შენობაც უნდა წალეკონო, სადაც ასე უწყალოდ იყლაპება ნანატრი სიყვარულის ნაყოფი, მისი მომავალი. ვყვირივარ, შველას ვითხოვ. თეთრხალათიანები კი არსად ჩანან, რომ დამეხმარონ... წვეთოვანი ნელ-ნელა ჩამოდის და მშხამავს, გვშხამავს მე და ჩემს პატარას, დრო და დრო ჯიუტად რომ ფართხალებს ჩემს სხეულში. – ჩიტო, ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ?

ძალები მოვიკრიბეთ ორივემ, ცალი ხელით ჩავებღაუჭე გველეშაპის ბრჭყალივით ვენაში ჩარჭობილ ნემსს და ამოვგლიჯე... შემდეგ ტანსაცმლის კარადას ვეცი. მაგრად დაუკეტიათ, მაგრამ არა უშავს, ასე წავალ, პატიმრის მოკლე ხალათითა და დიდი ზომის შავი ჩუსტებით. ეს სიმბოლურიცაა! ჩემი ახალი როლით ჩემს ახალ საინტერესო კოსტიუმში!

იქნება ეს ყველაფერი სპექტაკლივით დადგმულია, ფარსია, ტყუილია, – კიბეებზე წამომეწია ეჭვი და ყელში წამიჭირა...

იქნება მხოლოდ ახალგაზრდული ვნება და ჟინია ეს ყველაფერი? ქუჩაში გავედი, ვცდილობ, თითოეული მათგანი კარგად შევათვალიერო... უგრიმოდ არიან, ყოველგვარი სცენისა და ფონოგრამის გარეშე ყვირიან, მღერიან...

ახალგაზრდებს შორის ჭაღარათმიანი, ჭაღარაულვაშიანი, ღიმილით მომავალი ჭარმაგი კაცი შევნიშნე... ლაღი, მხრებგაშლილი, მხუბუქად, ნამდვილი რაინდივით მოაბიჯებდა... შემომხედა, გამიღიმა, ხელი ამიწია, ის იყო, ის, სასწაულთმოქმედი, ვისაც ასე ველოდი და გული გამინათდა, გონება დამიბრუნდა, აზრი დამეწმინდა, მუხლებზე დავეცი, პირჯვარი გადავიწერე და ლოცვა დავიწყე... „და შენ ხარ ის კლდე, ის რწმენა, ამ კლდეზე ჩვენ ავაშენებთ ჩვენი ბედნიერების სასახლეს, ჩემო ჩიტო!“..

– მგონი გადავრჩით, ჩემო პატარავ! წავიდეთ იქით, საითაც ის ჭაღარა კაცი მიდის... მის ნათელ თვალებს მე ვენდობი, იცოდე, დაიმახსოვრე, მან გადამირჩინა შენი სული, სიცოცხლე შემინარჩუნა.

ზურა! მე შენ მოგიტევებ შვიდჯერ სამოცდაათს, ოღონდ დამიბრუნდი... გაიგე! – ჩვენი სიყვარულის ნაყოფი სიკვდილს გადაურჩა!

ჩემი ქალობის ჩიტმა კვლავ იმედიანად შეიფრთხიალა და ჩემს გულში მშვიდად დაიბუდა...

# ცისარტყელა

ასეთი სახელი დაარქვეს თბილისელმა აბრეშუმის ოსტატებმა თავიანთ საფირმო გაერთიანებას. აქაოდა იმდენფერ ქსოვილს ვუშვებთ, კაცს ცისარტყელა გაახსენდებაო.



ღმერთმა ამრავლოს აქაურთა ფანტაზია, მაგრამ ერთი კი უნდა ვთქვა: უკანასკნელ ხანს ისეთი ფასი დაედო აბრეშუმს, მეშინია უიმისოდ პეწი არ მოაკლდეს ქართველი ქალის ჩაცმულობას.

ამის საფუძველს მაძლევს სურათი, რომელსაც ამას წინათ დედაქალაქის უნივერმაღში წავაწყდი. აბრეშუმის ქსოვილების სექციას, რომელსაც ადრე ხალხი ეძალებოდა, ახლა მყიდველი არ ჰყავდა. არა იმიტომ, რომ დახლი ცარიელი იყო, არამედ იმიტომ, რომ საქონელი ეძვირებოდათ. ხუმრობა ხომ არ არის, მეტრი ქართული აბრეშუმის ფასი თუ ადრე საშუალოდ 7-9 მანეთი იყო, ახლა 45-50 მანეთი გახდა. მით უფრო ცეცხლის ფასი დაედო საზღვარგარეთულს, ჩინური აბრეშუმი, მაგალითად, 95 მანეთამდე ღირს.

და აი, შესაძლებლობა მეძლევა თბილისის აბრეშუმის საფირმო გაერთიანების გენერალურ დირექტორს ბატონ გოდერძი მებუკეს შევეკითხო:

— რატომ გაძვირდა ასე ულმერთოდ აბრეშუმი?

— სულ უბრალო მიზეზით — ასევე ულმერთოდ გაძვირდა ნედლეული. ადრე რომ კილოგრამ ნატურალური აბრეშუმის ძაფში 140 მანეთს ვაძლევდით, ახლა ის 300 მანეთი გვიჯდება. ამას დავუმატოთ გაძვირებული ელექტროენერგია, სათბობ-საწვავი მასალები, სათადარიგო ნაწილები. თანაც ნედლეულის ფასი დღითიდღე მატულობს და არ გაგიკვირდეთ თუ იგივე 300-მანეთიანი ძაფი მალე 600 მანეთი გახდება.

— გინდათ თქვათ, რომ აბრეშუმზე ფასები კვლავ აიწევს?

— სამწუხაროდ, ნედლეულის გაძვირების შემთხვევაში სხვა გამოსავალი არ გვექნება. საწარმო წამგებიანი გახდება და კოლექტივი საკუთარ თავსაც ვეღარ შეინახავს.

— კი მაგრამ, აბრეშუმი დღესაც ძნელად იყიდება, არ გეშინიათ, რომ სულაც ჩაწვეს და ვეღარ გასაღდეს?

— რა თქმა უნდა, ამან შეიძლება დიდი ზარალი მოგვაყენოს. სავაჭრო ქსელს შეუძლია პროდუქცია უკან დაგვიბრუნოს. უფრო მთავარი კი ის არის, რომ ახალ პარტიას აღარ წაიღებს.

— რაში ხედავთ გამოსავალს?

— პროდუქციის ხარისხის ზრდაში. ფასს რომ ვადებთ, იმის შესაფერისი ხარისხიც უნდა ჰქონდეს საქონელს, საზღვარგარეთულს ჩამოუვარდებოდეს კი არა, კიდევაც უნდა სჯობდეს. ქართველი ქალიც ცოტას და კარგს იყიდის.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ აბრეშუმი მარტო ჩვენი პრობლემა არ არის, მასზე ფასები საზღვარგარეთაც ერთობ მაღალია. იტალიელს ერთი ნატურალური აბრეშუმის კაბა, მაგალითად, ერთი თვის ხელფასი უჯდება. მათი საშუალო ხელფასი 1500 დოლარს აჭარბებს.

მართლაც და, ხარისხის ზრდა გაერთიანებაში ბევრ რამეს წაადგება თავს. აღარაფერს ვამბობ ქართული მეაბრეშუმეობის ტრადიციის აღდგენაზე, რომელიც დღეს ესოდენ სჭირდება საქართველოს. ძველი კოლხური აბრეშუმი, რომელიც ჩვენს წინაპრებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში გაჰქონდათ, ხომ ჩინურს არაფრით ჩამოუვარდებოდა. დღეს კი ნედლეულის უკმარისობის გამო, გამოშვებული ქსოვილების საერთო მოცულობაში ნატურალური აბრეშუმის წილი 10 პროცენტს შეადგენს.

რესპუბლიკის ახალმა მთავრობამ ამიტომაც ინტენსიურად მოჰკიდა ხელი მეაბრეშუმეობის განვითარებას, გაორკეცდა აბრეშუმის პარკის შესასყიდი ფასი, რაც სტიმულს მისცემს ამ სფეროში დასაქმებულებს. ამით გაერთიანებასაც ხელ-ფეხი გაეხსნება.

მანამდეც არ არის გულხელდაკრეფილი, აქტიურად ეძებს გზებს საბაზრო ეკონომიკაში ფეხის მოსაკიდებლად, კონტაქტებს ამყარებს ადგილობრივ თუ საზღვარგარეთის ფირმებთან და არც თუ უშედეგოდ. სწორედ ამის ნაყოფია ინდოეთის კომპანია „იუკ-პეინტსისა" და თბილისის აბრეშუმის საფირმო გაერთიანება „ცისარტყელას" ერთობლივი საწარმო „მიტას" (მეგობრობა) შექმნა.

რას მისცემს ერთობლივი საწარმო თბილისურ ფირმას?

— ძალიან ბევრს, — ამბობს გენერალური დირექტორის მოადგილე კომერციის დარგში ბატონი ელგუჯა მამასახლისი. ჩვენი საზღვარგარეთელი პარტნიორი საკმაოდ ძლიერი და მდიდარია, ამასთან ნაკლებად პრეტენზიული. მის ამ თვისებებს კარგად გამოვიყენებთ. კომპანია, რომელიც განაგებს თითქმის მთელი ინდოეთის ქიმიურ მრეწველობას, ჩვენთან შემოიტანს და დაამონტაჟებს უახლესი ტიპის საზღვარგარეთულ საკერავ მანქანებს, საღებავებს, ზოგიერთ სხვა მასალებს, რომელთა შოვნა ჩვენ ასე გვიჭირს.

აქამდე ჩვენ ძირითადად ქსოვილების გამოშვებაზე ვმუშაობდით, კერვა მეორეხარისხოვანი საქმე იყო. არადა, ცნობილია ის, ვინც თავისი პროდუქციით კერავს, დიდ მოგებას ნახულობს. თანაც ჩვენს საწარმოში შეკერილი კაბები, კოსტიუმები, ქურთუკები და სხვა ლონდონის და პარიზის მაღაზიებშიც კი გაიყიდება. ეს ნიშნავს, რომ ვალუტის მფლობელები გავხდებით. მოგების 51 პროცენტი რესპუბლიკას დარჩება, 49 პროცენტს ინდური კომპანია წაიღებს. ხუთ წელიწადში საქართველოს ბიუჯეტს 1 მილიონი დოლარი შეემატება, ხოლო ჩვენს საწარმოს მისი 30 პროცენტი დარჩება.

აქვთ მეორე ერთობლივი საწარმოც — „რიონველეკა“ ბულგარეთთან. მასში გაერთიანებულმა საწარმოებმა — „ცისარტყელამ“, გორის ბამბეულის კომბინატმა, სარხერის ბამბის ხართავმა ფაბრიკამ შეკრეს მთელი ციკლი ხამუშაოებისა. მათ საშუალება ეძლევათ რეალური თანამშრომლობით შექმნან მსოფლიო სტანდარტების დონის ქსოვილი, შეკერონ, გაასაღონ სხვადასხვა ბაზარზე.

მოგებას ელიან „კავკასიის ბირჟაში“ საქმიანი მონაწილეობიდანაც, სადაც მათ 100000-მანეთიანი პაკეტი აქვთ ჩადებული. თუმცა მანამდეც არ უჭირდათ. შარშან 4 მილიონი მანეთი მოგება დააგროვეს. წლეულს პირველ კვარტალშიც ამ თანხამ 3 მილიონს გადააჭარბა.

— საწარმოში თუ რამე დანაზოგი და მოგება გვაქვს, ყველაფერი წარმოების გაფართოებასა და ადამიანთა კეთილდღეობას ხმარდება, ამბობს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ჩაზაძე.

საწარმოში 80 პროცენტი ქალია. მათ მზრუნველობა აკლიათ, მაგრამ განსაკუთრებულ პატივში მაინც დედები არიან. დირექტორის ბრძანებით ერთშვილიან ქალს 100 მანეთი ეძლევა ჯილდოდ, ორშვილიანს — 200, სამშვილიანს — 300 მანეთი და ასე შემდეგ.

რაიონის დემოგრაფიული საზოგადოება მრავალშვილიანი დედებისთვის საცხოვრებელ სახლს აშენებს, რაშიც ჩვენი გაერთიანება აქტიურად მონაწილეობს. კოლექტივის 5 მრავალშვილიანი ოჯახის თანხას, რომლებიც იმ ბინაში უნდა შესახლდნენ, მთლიანად საწარმო გადაიხდის. კოოპერატიული ბინების მშენებლებსაც ვეხმარებით. სამუშაო სტაჟისა და პირადი დამსახურების მიხედვით გაერთიანება მათ ბინების საფასურს 20-25 პროცენტს უხდის. ამას გარდა, ფირმა აშენებს ოთხ სახლს, რაც მუშაკთა ბინის პრობლემას მთლიანად გადაწყვეტს.

გაერთიანების მუშაკთა შვილები, ოჯახები ზაფხულობით უფასოდ ისვენებენ მანგლისსა და ფოლადაურში. საწარმოს საბავშვო ბაღში ნორჩთათვის ყველაფერი უფასოა. საწარმოს ძირითადი პროფესიის მუშაკებსაც — მქსოველებს, მქსელავებს, ქვეოსტატებს და სხვებს ერთჯერადი უფასო კვება აქვთ. სახელმწიფოს მიერ დაწესებული კომპენსაციაც მათ 60 კი არა, 80 მანეთი ეძლევათ.

ახლა იმას არ იკითხავთ, რა პირობებით იღებენ ახალ მუშაკს გაერთიანებაში?

ფორმდება ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მუშაკს ერთდროულად ეძლევა 2 ათასი მანეთი დახმარება. ის პირები, რომლებიც შეისწავლიან ძირითად სპეციალობებს, ყოველთვიურად 100 მანეთ სტიპენდიას მიიღებენ, ამასთან დამატებით აუნაზღაურდებათ შრომა შეღავათიანი გამომუშავების ნორმებით.

ხომ შეიძლება მათგან ზოგმა უმაღლესში სწავლაც მოისურვოს? კი ბატონო, ასეთ შემთხვევაში სწავლების ყველა ხარჯს გაერთიანება გაიღებს.

და მაინც ყველა ამ სიკეთის მიუხედავად, საწარმოში უჭირთ მუშახელის [illegible] თითქმის ყოველთვის აკლიათ ძირითადი პროფესიის მუშაკები. იქნებ ხელფასი ეცოტავებათ? არა, ისინი თვეში საშუალოდ 500-600 მანეთს იღებენ. მაგრამ მარტო ანაზღაურება ხომ არ არის, პირობებია ხშირად გაუსაძლისი. საქმე ის არის, რომ ახალ კორპუსში მოთავსდა მხოლოდ სამღებრო-გამომყვანი წარმოება, საქსოვი წარმოება კი ისევ ძველ შენობებში. ერთი საუკუნის წინათ გამოშვებული „რიუტის“ მარკის საქსოვი მანქანებით მუშაობს. რა გასაკვირია, რომ ასეთ პირობებში მქსოველი სამუშაოდან გაიქცეს?

როგორ იყო თავიდან დაგეგმილი? 1991-95 წლებში აქ ცენტრალიზებული წესით საქსოვი წარმოების მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო. გადმოსვლის მიზანიც ეს იყო. მაგრამ შემდეგ „პერესტროიკამ“ ყველაფერი არივ-დარია. ცენტრმა დაფინანსებაზე უარი განაცხადა, საწარმომ კი 48 მილიონი მანეთი საიდან მოიტანოს?

საიდან და ალბათ იმ მოგებიდან, რომლის მიღებასაც უცხოეთის ფირმებთან თანამშრომლობით, საერთაშორისო ბაზარზე გასვლით და კომერციის მეობებით ვარაუდობენ. ეს რთული და ძნელი, მაგრამ მიზნის მიღწევის რეალური გზა გახლავთ. საწარმოს მესვეურებიც იქითკენ იყურებიან — არავისი არაფერი გვინდა, საკუთარ კალოს გავლეწავთ და ისე შევუდგებითო ალმართს.

ოთარ ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი სტუმრები



სესილია კაპარელი

ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს ჟურნალისტმა ქალებმა თავიანთი ასოციაცია ჩამოაყალიბეს, რომელიც მრავალ, უაღრესად საჭირო მიზნის განსახორციელებლადაა მოწოდებული. მათ შორის ერთ-ერთია — განავითაროს კონტაქტები საზღვარგარეთელ კოლეგებთან.

და აი, ასოციაციამ უკვე მიიღო პირველი სტუმრები:

ბრაზილიელი ჟურნალისტი სესილია კაპარელი:

— თბილისში პირველად 1988 წელს ვიყავი, როგორც ერთობლივი ფილმის სცენარის ავტორი.

საერთოდ ვმუშაობ ორი გაზეთისათვის. ვაკეთებ პოლიტიკურ ანალიტურ მიმოხილვებს, მაგრამ უფრო მიყვარს კულტურის შესახებ წერა. ჩემი სფეროა მთელი სამხრეთ ამერიკა. სამხრეთ ამერიკის პოლიტიკაზე კი უამრავი საწერია. ვსწავლობდი ბრაზილიის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. დისერტაცია მექსიკაში დავიცავი.

ქალებს, როგორც ყველგან, ბევრი პრობლემა გვაქვს. ახლა ჩვენში დაიწყო ფემინისტური მოძრაობა. თუმცა სპეციალური გაზეთი ქალებისათვის არ გვაქვს, მაგრამ გაზეთებში ბევრი იწერება ქალთა პრობლემებზე. ჩვენში დიდი გასავალი აქვს მაღალი წრეების ჭორებს, ვინ ვის გაჰყვა, ვის რა ეცვა და ა. შ. ბრაზილიაში 20 წელზე მეტი სამხედრო რეჟიმი იყო, ახლა ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი გვყავს.

როცა ბრაზილიაში ახსენებენ საბჭოთა კავშირს, ყველას წარმოდგენილი აქვს რუსეთი.

ახლა, როცა ჩემს სამშობლოში მკითხავენ: საქართველო ეს ხომ სსრკ-ს ნაწილიაო, მე ამაყად ვეტყვი, — არა, საქართველო ეს არის უძველესი კულტურის მქონე, თავისუფლების მოყვარე დამოუკიდებელი ქვეყანა.



ლორა ვულფსონი

ლორა ვულფსონი
ამერიკელი ჟურნალისტი

კარგად ლაპარაკობს რუსულად, რადგან დამთავრებული აქვს ამერიკის ერთ-ერთი უნივერსიტეტი სოვეტოლოგიის სპეციალობით.

ეს სიცოცხლით სავსე მომხიბვლელი ქალიშვილი მოსკოვში ამერიკის რამდენიმე გაზეთისათვის მუშაობს.

საქართველოთი მოხიბლულია, იმდენად, რომ მალე ჩვენი რძალი გახდება. აგვისტოში ცოლად მიჰყვება ქართველ ახალგაზრდა ბიოლოგს.

— ხან აქ ვიქნებით, ხან იქ... — თვალებში სიხარულის ნაპერწკლები გვატყობინებს ამ სასიამოვნო ამბავს.

საკმაოდ მომხიბვლელი პერსპექტივაა...

ჩვენს ასოციაციას მეგობრები ემატება.

# ჩემი ამერიკელი შვილიშვილები

განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს მაია ქავთარაძეს და ბესო სიხარულიძეს ტყუპი ქალიშვილი შეეძინა — თათია და ნიტა. ჩვეულებრივი სასიხარულო ამბავი, არც თუ ისე იშვიათი, შეიძლება დასაწერიც არაფერი ყოფილიყო, ერთი გარემოება რომ არა — გოგონები ბოსტონში დაიბადნენ და ჯერჯერობით ამერიკის მოქალაქეებად ითვლებიან.

წინა ნომერში ვწერდით თბილისის სამშობიაროებში არსებულ მდგომარეობაზე. ახლა ცოტა სული რომ მოგათქმევინოთ, ამერიკის სამშობიაროში მიღებულ შთაბეჭდილებაზე გვინდა გავესაუბროთ თათიას და ნიტას ბებიას — რესპუბლიკის სახალხო არტისტს ლია ქავთარაძეს, რომელიც შვილის მშობიარობასაც დაესწრო და ექვსი თვე ამერიკაში დაჰყო — ტყუპების მოვლაში ეხმარებოდა ქალიშვილსა და სიძეს.



ქალბატონო ლია, როგორ მოხვდნენ თქვენი ქალიშვილი და სიძე ამერიკაში?

— ქალიშვილმა უცხო ენათა ინსტიტუტი დაამთავრა, ინგლისური ენის სპეციალობით. სიძე ინჟინერია. ქარხანა „აგრეგატში" მუშაობდა გამოთვლითი ტექნიკის სპეციალისტია, ასპირანტურაში სწავლობდა. კარგად ფლობდა ინგლისურს. იგი გივი ზალდასტანიშვილის თაოსნობით ჰარვარდის უნივერსიტეტის ორწლიან ბიზნესსკოლაში მიიწვიეს. სწავლების თანხას ჰარვარდის უნივერსიტეტი უხდის. ახალგაზრდები ხელისმოწერისთანავე გაემგზავრნენ აიოვას შტატში, დემონში.

ამ მცირე საუბარში ვერ ამოვწურავ და ამიტომ არც შევეხები ამერიკული ცხოვრების მრავალ მხარეს. მხოლოდ ერთს ვიტყვი, რომ თუ მთელი ენერგიით არ მუშაობ, არ სწავლობ, ვერაფერს მიაღწევ. ამერიკა უსაქმურს ვერ იტანს, ხოლო თუ მონდომებული ხარ, თავის გამოსაჩენად და წარმატების მისაღწევად ბევრი საშუალება გეძლევა. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ ამერიკის ბიზნესსკოლებში დაიწყო ე. წ. „საქმიანი თამაშები". დაახლოებით, წარმოდგენა რომ შევუქმნათ მკითხველს, გეტყვით რას ნიშნავს ეს. სტუდენტს აძლევენ პირობითად 500 ათას დოლარს. ეს თანხა საქმეში როგორც გინდა დააბანდე. ვინც ყველაზე მეტს მოიგებს, გამარჯვება მას დარჩება. ბესომ მილიონზე მეტი მოგება მიიღო, ჰარვარდის ბიზნესსკოლაში აიღო პირველი ადგილი და არა პირობითი, არამედ ნამდვილი 750 დოლარი გადაეცა სხვა ჯილდოებთან ერთად.

ჰარვარდის ბიზნესსკოლაში ჩამოდიან სხვადასხვა ქვეყნებიდან და თავიანთ კომპანიებში სამუშაოდ არჩევენ სტუდენტებს.

ბესო აირჩია საფრანგეთის ერთ-ერთმა კომპანიამ. ეს ნიშნავს, რომ არდადეგების სამ თვეს ცოლ-ქმარი საფრანგეთში გაატარებს და გარკვეულ თანხასაც მიიღებს, რაც საკმაოდ კარგი დანამატი იქნება მათი ოჯახის ბიუჯეტისთვის.

— ეს ყოველივე საინტერესოა, მაგრამ ჩვენი მკითხველს ზოგი რამ გაგებული აქვს ამერიკის სამშობიაროებზე და თუ პირად შთაბეჭდილებას გაგვიზიარებთ, მადლობელი ვიქნებით.

— არ შემიძლია არ ვთქვა, თან არც ის მინდა, გული ვატკინო ჩვენს ახალგაზრდა დედებს, მაგრამ განსხვავება ჩვენსა და ამერიკის სამშობიაროებს შორის დაახლოებით ისეთია, როგორც, ვთქვათ, ხევსურეთის ბოსელი, რომელშიც ადრე მშობიარობდნენ იქაური ქალები, განსხვავდება კარგად აღჭურვილ თანამედროვე კლინიკისაგან.

ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ მაიას 5 დეკემბერს უნდა ემშობიარა და ტყუპი გოგონა უნდა შეეძინოდა, ეს ყველაფერი ამერიკული პოლიკლინიკისთვის პრობლემას აღარ წარმოადგენს.

სამშობიაროზე რა გითხრათ, საიდან დავიწყო — წარმოუდგენელი სისუფთავით, მოვლისა და ყურადღების მაქსიმუმით, კომპიუტერებით, რომლებიც ყოველნაირ უტყუარ ინფორმაციას იძლევიან დედისა და ნაყოფის მდგომარეობაზე. თუ იცით, რომ მშობიარობას მომავალი მამა ესწრება და ბავშვიც მას მიჰყავს ბავშვთა განყოფილებაში, სტერილური ტანსაცმლითა და სპეციალური პირსაკრავებით მე და ბავშვის მამა სამშობიარო ბლოკშიც შეგვიშვეს.

მაიამ ისე გააჩინა ორი ბავშვი, ერთხელაც არ დაუკვნესია. ალბათ მიხვდით, რომ ეს ანესთეზიის დამსახურებაა. მშობიარობიდან ნახევარი საათის შემდეგ დედა გადაჰყავთ არაჩვეულებრივად მოწყობილ პალატაში. პალატები წრიულადაა განლაგებული, შუაში კი ბავშვთა ბლოკია. დედას როცა უნდა, მაშინ აიყვანს თავის ბავშვს.

პალატაში ტელევიზორი დგას, რომლითაც ექიმი ასწავლის ახალგაზრდა დედას, როგორ მოაწოვოს ძუძუ, როგორ ავარჯიშოს, როგორ აბანაოს ბავშვი. ერთი სიტყვით, ყოველგვარ ცოდნას, რაც ბავშვის მოვლას სჭირდება, ახალგაზრდა დედა იქვე იღებს. ბავშვი დედასთან იმავე დღეს მოჰყავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა





რაც კი პალატაშია (პალატაში კი ყველაფერია, რაც ბავშვს სჭირდება — საწოვარიდან დაწყებული ჭურჭლითა და ტანსაცმლით დამთავრებული) ყველაფერს ატანენ შან. გოგონასათვის ყველაფერი ვარდისფერია, ბიჭისათვის — ცისფერი. ბარათებიც კი განსხვავებული ფერების ქაღალდზე ივსება.

ბავშვის გამოყვანისათვის აუცილებელია მშობლებმა მოიტანონ მანქანაში ჩასამაგრებელი სპეციალური სკამი — ლოგინი ბავშვის უსაფრთხოებისათვის.

სამშობიაროდან გაყვანის შემდეგ რამდენიმე ხნის მანძილზე შინ პატრონაჟის დები გვაკითხავდნენ და ბავშვების ჯანმრთელობას ამოწმებდნენ.

როცა ბავშვები 6 თვისანი გახდნენ, საქართველოში დავბრუნდი.

— ალბათ გაგიჭირდათ ბავშვების დატოვება, კიდევ თუ აპირებთ ამერიკაში გამგზავრებას?

— საქმე ის გახლავთ, რომ ჩემი მეორე ქალიშვილი ამ ზაფხულს ელოდება ბავშვს. აქ მით უფრო საჭირო ვარ. ოქტომბერში კი მე და ჩემი მეუღლე (ის ფირმა „ზალდასტან კონსტალტინგ ინკორპორეიშენ"-ის წარმომადგენელია საქართველოში, ევროპასა და შუა აღმოსავლეთში) კვლავ ვაპირებთ მოვინახულოთ ჩვენი „ამერიკელი" შვილიშვილები.

— აი, მაშინ შევხვდეთ და კიდევ გავესაუბროთ მკითხველს იმაზე, თუ როგორ ახერხებს ქალი ამერიკაში ყველაფერი წესრიგში ჰქონდეს, ქმარ-შვილი მოვლილი ჰყავდეს და თვითონაც მშვენივრად გამოიყურებოდეს.

— დიდი სიამოვნებით.



ესაუბრა **ნარგიზა მგელაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი მოდელიორი
ლია ავალიანი



ადამიანის ცხოვრებაში არის განსაკუთრებული, ღირსსახსოვარი დღე, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე რჩება მეხსიერებას. ამ ღირსშესანიშნავ დღეს განეკუთვნება ქორწინების დღეც, რომლის საზეიმო აღნიშვნის წეს-ჩვეულება ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. მაგრამ, რაგინდ განსხვავებული უნდა იყოს სხვადასხვა ეპოქისა და ხალხის ამ დღის აღმნიშვნელი წესი, მასში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პატარძლის მორთვა-მოკაზმვას. იგი, როგორც წესი, ამ დაუვიწყარ დღეს, უჩვეულოდ ლამაზი და მომხიბვლელია. დედოფლის ამაღლებულ რომანტიულ განწყობილებას კიდევ უფრო აძლიერებს ტრადიციული თეთრი, გრძელი, საზეიმო კაბა, რომელიც მხოლოდ ერთი დღისათვის იკერება და შემდეგ სათუთად ინახება ამ ბედნიერი დღის მოსაგონებლად.

ლელი ხვედელიძე

ძვირფასო ქალიშვილებო, ძალიან ნუ გადადებთ ამ ბედნიერ დღეს. მოირგეთ სადედოფლო კაბები. „საქართველოს ქალი" ბედნიერ ქორწინებას და შვილთა სიმრავლეს გისურვებთ!

მხატვარი მოდელიორი
ბილეტა ბალდასაროვა





ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენ ჯვარს იწერდი...

მხატვარ-მოდელიორი მაია როინიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაცხოვრის დაბადება

რომის იმპერატორის, ავგუსტის, ბრძანებით პალესტინაში ხალხის აღწერა მიმდინარეობდა. ყოველი მოქალაქე იმ ქალაქში უნდა ჩაწერილიყო, საიდანაც მისი წინაპრები იყვნენ წარმოშობილი.

იოსები და მარიამი, რომლებიც დავითის ჩამომავლები იყვნენ, გაემგზავრნენ იუდეაში, მეფე დავითის ქალაქ ბეთლემში.

ქალაქში თავშესაფარი რომ ვერ იპოვეს, იოსები და მარიამი ქალაქიდან გამოვიდნენ და გადაწყვიტეს ღამე გაეთიათ გამოქვაბულში, რომელშიც უამინდობის დროს მწყემსები საქონელს შერეკავდნენ ხოლმე.

ამ ცივ გამოქვაბულში, შუაღამისას, დაიბადა იესო ქრისტე, ქვეყნიერების მხსნელი.

ღმრთისმშობელმა შეახვია ახალშობილი ყრმა და დააწვინა ჩალაზე, ბაგაში. ამ დროს მწყემსები კოცონთან ისხდნენ, გამოქვაბულის შორიახლოს უცებ ცა არაჩვეულებრივმა სინათლემ გაანათა და ამ ნათელში შეშინებულ მწყემსებს წარმოუდგათ ანგელოზი.

— „ნუ გეშინიათ“, —უთხრა მან, — „მე გაუწყებთ თქვენ ყველა ადამიანისათვის უდიდეს სასიხარულო ამბავს. ამ ღამით დავითის ქალაქში დაიბადა კაცობრიობის მხსნელი, ქრისტე. თქვენ მას იპოვით ჩვრებში შეხვეულს, ბაგაში. როგორც კი ანგელოზმა ეს სიტყვები დაასრულა, გამოჩნდა ურიცხვი ანგელოზი, რომელთა გალობამაც აღავსო იქაურობა: „დიდება მაღლა ღმერთს და მშვიდობა დედამიწაზე“.

როდესაც ზეცა ისევ ჩამობნელდა, მწყემსები წავიდნენ გამოქვაბულში, იპოვეს იქ ღმრთისმშობელი და ყრმა, თაყვანი სცეს მათ და უამბეს მარიამსა და იოსებს ანგელოზების გამოცხადების შესახებ.

## ბრძენკაცთა თაყვანისცემა



ოღონდ არა მხოლოდ მწყემსებს ეუწყათ სასწაულებრივად მხსნელის დაბადება. მალე, ჩვენი მხსნელის დაბადების შემდეგ, იერუსალიმში შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მოვიდნენ ბრძენი სწავლულები. მათ იესო ქრისტეს დაბადების ამბავი შეიტყვეს ახალი, განსაკუთრებით მოკაშკაშე ვარსკვლავის მიხედვით. იერუსალიმში ისინი ყველას ეკითხებოდნენ: „სად არის ახლადშობილი მეუფე იუდეისა? ჩვენ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში დავინახეთ და მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას“. ამ დროს იუდეის მეფე იყო იროდი, რომელიც რომაელებს ემორჩილებოდა. ბრძენკაცთა სიტყვები რომ მოისმინა, იროდი შეშფოთდა, შეშინდა, რომ ტახტს დაკარგავდა. მან თავისთან დაიბარა მღვდელმთავრები და მწიგნობრები, რომლებიც წინასწარმეტყველთა შრომებს სწავლობდნენ და ჰკითხა: „ნათქვამია თუ არა წიგნებში, სად დაიბადება ქრისტე?“ მათ ერთხმად უპასუხეს: „იუდეის ბეთლემში“. მაშინ იროდმა იხმო თავისთან ბრძენკაცები, უთხრა მათ: „ჩვენს ძველ წიგნებში ნათქვამია, რომ ქრისტე ბეთლემში უნდა დაიბადოს. მოძებნეთ იგი იქ და, როცა იპოვით, მოდით ჩემთან და მითხარით, რომ შევძლო მის თაყვანისცემად წასვლა“. სინამდვილეში იროდს შობილი ქრისტეს მოკვლა უნდა, ბრძენკაცები ბეთლემისაკენ გაემართნენ და შევიდნენ ვარსკვლავისაგან ნაჩვენებ სახლში, იპოვეს იქ ღმრთისმშობელი ახლადშობილ იესოსთან ერთად. თაყვანი სცეს ყრმას, როგორც მეუფეს, მაგრამ იერუსალიმში აღარ დაბრუნებულან, რადგან იროდის კეთილი განზრახვისა არა სჯეროდათ. იმავე ღამეს, ძილში, იოსებს ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ადექი, წაიყვანე ყრმა და მისი დედა და წადით ეგვიპტეში. იროდი მოსაკლავად ეძებს ახალშობილს. დარჩით ეგვიპტეში მანამ, სანამ მე არ გაცნობებ შენ“.. იოსები მაშინვე ადგა, გაალვიძა ღმრთისმშობელი და ყრმა. წმიდა ოჯახი ეგვიპტეში გაემართა და იქ დარჩა მანამ, სანამ იროდი არ გარდაიცვალა. იროდი ტყუილა ელოდა ბრძენკაცთა დაბრუნებას. და როცა მიხვდა, რომ ისინი არ დაბრუნდებოდნენ, ისე განრისხდა, რომ ბრძანა ბეთლემსა და მის შემოგარენში ამოეწყვიტათ ორი წლისაზე პატარა ყველა ახლადშობილი.



ინგრიდ პალიუსი

# ქალია ყველგან ქალი

შარშან ოქტომბერში, რესპუბლიკის ქალთა საბჭო მასპინძლობდა ზაარბრიუკენის ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლებს. გერმანელი ქალები გაეცნენ ქალთა საბჭოს მუშაობას. შეხვდნენ მოღვაწე ქალებს... იცხოვრეს ოჯახებში, ახლოს ჩაიხედეს ქართული ოჯახის ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებში. ამ შეხვედრამ ჩვენც და სტუმრებიც დაგვარწმუნა, რომ ცხოვრების პირობების დიდი განსხვავების მიუხედავად, მაინც ბევრი გვაქვს საერთო საზრუნავი. მხედველობაში მაქვს ქალისა და ოჯახის პრობლემა, ქალის ყოფისა და შრომის პირობების გაუმჯობესება და სხვა. ამ საკითხებისადმი დიდმა ინტერესმა გვაფიქრებინა ზაარბრიუკენსა და საქართველოს ქალთა ორგანიზაციებს შორის მუდმივი კონტაქტების დამყარება. შარშან, წლის ბოლოს, ზაარბრიუკენის ქალთა ორგანიზაციიდან მივიღეთ ოფიციალური მიწვევა და მაისში ქალთა დელეგაცია საქართველოს რესპუბლიკის ქალთა საბჭოს თავმჯდომარის, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის, აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გაემგზავრა ზაარბრიუკენში. მასპინძლებმა ჩვენი ჩასვლის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია მისცეს ადგილობრივ გაზეთებს, პროგრამა შედგენილი იყო ქართულ ენაზე, საქართველოს შესახებ სპეციალურად დაებეჭდათ საცნობარო მასალა. ამაში დიდი დახმარება გაუწევია ჩვენს თანამემამულეს ნინო ჭავჭავაძეს, რომელიც ზაარბრიუკენის უნივერსიტეტში ასწავლის ქართულ ენას. საინტერესო იყო მასპინძელთა პროგრამა. ყველას აინტერესებდა ბატონ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით საქართველოში ეროვნული მოძრაობის გამარჯვების შედეგად მიღწეული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი და ბრძოლა იმპერიის შემადგენლობიდან გამოსვლისათვის. ვერ ვიტყვით, რომ ინფორმირებული არ იყვნენ საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, მაგრამ ზოგიერთი საკითხი მაინც მცდარად ჰქონდათ გაგებული. ჩვენ გვიხდებოდა დაწვრილებითი საუბარი ოსებსა და აფხაზებთან ურთიერთობის, მრავალპარტიული არჩევნების თაობაზე, ყოველივე იმ სასიკეთოზე, რაც დღეს ხდება ჩვენს რესპუბლიკაში. და რაც მთავარია იმ სირთულეებზე, რომლებსაც გვიქმნის ცენტრი საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის მიღწევაში.

მასპინძლები გულწრფელად გვითანაგრძნობდნენ მიწისძვრით გამოწვეულ ტრაგედიის გამო. იმ ჰუმანიტარული დახმარების გარდა, რომელიც რესპუბლიკამ მიიღო ზაარლანდიის მხარიდან, მზად არიან კიდევ გაგვიწიონ დახმარება. თავაზიანმა მასპინძლებმა დაგვათვალიერებინეს ჩვენთვის საინტერესო რამ, ე. წ. ქალთა სახლი, დაწესებულება, სადაც თავიანთი შვილებით ცხოვრობენ ქალები, რომელთაც ოჯახში ქმარი ავიწროებს, შეურაცხყოფას აყენებს. დედას და შვილებს აქვთ ბინა, უზრუნველყოფილნი არიან კვებით, საოჯახო ნივთებით, ერთი სიტყვით, ცხოვრობენ ისე, როგორც ოჯახში. ყველა ამ ხარჯებს სახელმწიფო იღებს. ხოლო მერე, როცა ქალი ბრუნდება ოჯახში და იწყებს მუშაობას, დანახარჯ თანხას უბრუნებს ქალთა სახლის ადმინისტრაციას. შეკითხვაზე, რა ზომებს იღებენ იმ მამაკაცების მიმართ, რომლებიც ასე დღეში აყენებენ ცოლებს, გვიპასუხეს, რომ არავის, მათ შორის პოლიციასაც კი, უფლება არ აქვს ჩაერიოს ოჯახის საქმეებში. სახლს ჰყავს ფსიქოლოგი, სოციოლოგი, რომლებიც ინდივიდუალურ მუშაობას ატარებენ ამ ტრავმირებულ ქალებთან. ასეთი სახლის არსებობა და ფუნქციები ჩვენ ერთობ საინტერესოდ გვეჩვენა. ზაარბრიუკენის ქალთა ორგანიზაციას ჩვენთან ერთად მოწვეული ჰყავდა ქ. ნანტის ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლები ქალბატონი რენე კატორეს ხელმძღვანელობით. გადაწყდა, რომ დაძმობილებული ქალაქების — თბილისის, ზაარბრიუკენის და ნანტის ქალთა ორგანიზაციებმა დაამყარონ ურთიერთკავშირი, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს და შინაარსიანს გახდის ამ ქალაქების მეგობრობას. აქ მართლაც ბევრი კეთდება ქალთა უფლებების დასაცავად, მარტო ის ფაქტი, რომ ზაარბრიუკენის ობერბურგომისტრთან შექმნილია სპეციალური სამსახური ქალთა თანასწორუფლებიანობის დასაცავად, ბევრის მთქმელია. ყველაზე დიდი პრობლემა, რაც მათ აწუხებთ, ქალთა ინტერესების დაცვა, მისი დასაქმება და კვალიფიკაციის ამაღლებაა. როდესაც ეცნობი ქალის შრომას, ოჯახებში ბავშვების მოვლა-პატრონობას, სამეცნიერო თუ საყოფაცხოვრებო მომსახურების დონეს, ხვდები, თურმე რამდენი რამ აკლიათ ჩვენს ქალებს. და მაინც ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ბავშვები აღვზარდოთ, ოჯახის სითბო შევინარჩუნოთ და არ ჩამოვრჩეთ ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებას.

ვვარაუდობთ, რომ უახლოეს მომავალში ჩვენ ოფიციალურ კონტაქტებს დავამყარებთ ქ. ნანტის ქალთა ორგანიზაციასთან, რაც საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო ახლოს გავეცნოთ ფრანგი ქალების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ჩვენის მხრივ კი ქალთა შორის ეს კავშირები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ქალთა ორგანიზაციების მუშაობაში, და, რაც მთავარია, გავაცნოთ გერმანელ და ფრანგ ქალებს, რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესები — საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიპეტიები და მასში ქალთა მონაწილეობა.

ზაარბრიუკენის ქალთა წრე საქართველოს ქალთა საბჭოს საპატიო წევრია. ამაზე წერდა ზაარის მხარის ქალთა ჟურნალი, ამ წერილშივე მოხსენებულია „ქართველ ქალთა ერთადერთი ჟურნალი“ ანუ „საქართველოს ქალი,“ რომელმაც მკითხველებს მოუთხრო გერმანელ ქალთა მოგზაურობაზე საქართველოში.“

ქალთა საბჭოს მხრივ საზღვარგარეთის ქვეყნების ქალთა ორგანიზაციებთან უშუალო ურთიერთობის დამყარების ეს პირველი ცდაა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში იგი კიდევ უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება.

**ზინაიდა კვაჭაძე**

რესპუბლიკის ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



# ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია

## სქესობრივი ურთიერთობა ფეხმძიმობის დროს

აუცილებელი არ არის ფეხმძიმობის დროს ქალმა საერთოდ უარი თქვას სქესობრივ ურთიერთობაზე, მაგრამ ეს ისე უნდა მოხერხდეს, რომ თავიდან ავიცილოთ ნაყოფზე დაწოლა. ქალების უმრავლესობას ფეხმძიმობის პირველ მესამედში უმცირდება ლიბიდო (სქესობრივი ლტოლვა) ეს საუკუნოებით გადმოცემული დედური ინსტინქტია — რაიმე ტრამვა არ მიაყენოს ნაყოფს. ცნობილია შემთხვევები, რომ ამ პერიოდში სქესობრივ ურთიერთობას გამოუწვევია ძლიერი სისხლის დენა, ანდა უნებლიე აბორტი. ამიტომ გირჩევთ ფეხმძიმობის პირველ მესამედში ურთიერთობა მინიმუმამდე დაიყვანოთ, ხოლო ქმრებს ვთხოვთ გამოიჩინონ მეტი ყურადღება და ხინაზე ცოლის მიმართ და თავი შეიკავონ სექსუალური აქტიურობისაგან.

მეორე მესამედში დედის მუცელში ნაყოფი მომაგრებულია და ნაკლებად ემუქრება მოწყვეტა. მიუხედავად ამისა, ამ დროსაც ზედმეტი არ არის სიფრთხილე, ზომიერება და ისეთი მდგომარეობის შერჩევა, რაც ნაყოფს საფრთხეს არ შეუქმნის. ორსულობის ბოლო მესამედში ქალს ისევ უსუსტდება სქესობრივი ლტოლვა, რაც ორგანიზმის გადაღლით აიხსნება. მშობიარობამდე ხუთი-ექვსი კვირით ადრე სქესობრივ კავშირზე საერთოდ უნდა ითქვას უარი, რადგან ქალის ორგანიზმი გარდაიქმნა და ემზადება ახალი სიცოცხლის მოსავლინებლად.

## ფიზიკური ვარჯიში

მშობიარობისას ქალს კოლოსალური ენერგია ეხარჯება. ორგანიზმმა ამ დატვირთვას რომ გაუძლოს, საჭიროა ფიზიკური ვარჯიში, რომელიც მიმართულია მუცლის კუნთების, ფეხებისა და მენჯბარძაყის სახსრების გასავარჯიშებლად. კარგად მომზადებული ქალის ორგანიზმი უფრო ადვილად იტანს მშობიარობას, ნაკლებია ტკივილები. თქვენი ორგანიზმისთვის შესაფერის ვარჯიშს თქვენსავე ქალთა კონსულტაციაში შეგირჩევენ ექიმის მეთვალყურეობით. ფიზიკური ვარჯიში არ შეიძლება ისეთი ქალებისათვის, რომლებისთვისაც სავარაუდოა დროზე ადრე მშობიარობა.

## როდის იბადებიან ტყუპები

— ექიმო, შეიძლება ტყუპი მეყოლოს? — ეკითხებიან ხშირად ექიმს.

— რასაკვირველია, შეიძლება. მოკლედ გეტყვით როგორ ხდება ეს.

ქალის მუცლის ღრუში ორი საკვერცხეა. თვეში ერთხელ მწიფდება მხოლოდ ერთი კვერცხუჯრედი ან მარჯვენა ან მარცხენა საკვერცხეში. შემდეგი ციკლის დროს — საკვერცხე, რომელშიც უკვე მომწიფდა ერთი კვერცხუჯრედი, ისვენებს და ამუშავდება მეორე. ასე გრძელდება საერთოდ. მაგრამ ზოგჯერ, როცა ბუნება გრძნობს ამის საჭიროებას, ორივე საკვერცხე ერთდროულად მოამწიფებს თითო კვერცხუჯრედს ან ერთი საკვერცხე ორ კვერცხუჯრედს წარმოქმნის ან კიდევ (უფრო იშვიათად) ერთი წარმოქმნის ერთს, ხოლო მეორე — ერთბაშად ორ ან მეტ მომწიფებულ კვერცხუჯრედს და ყველა მათგანი აღმოჩნდება განაყოფიერებული.

ასეთ შემთხვევაში ქალი სიცოცხლეს ჩუქნის ორ ან მეტ ბავშვს. სხვადასხვა კვერცხუჯრედიდან წარმოშობილი ბავშვები ისე გვანან ერთმანეთს, როგორც სხვადასხვა დროს დაბადებული და-ძმანი, და შესაძლოა ორივე ერთი ან სხვადასხვა სქესისანი იყვნენ. მაგრამ ზოგჯერ ერთი კვერცხუჯრედიდან ჩნდება ორი ჩანასახი, მაშინ ტყუპები წყლის წვეთებივით გვანან ერთმანეთს და აუცილებლად ერთი სქესისა არიან. ის კი არა, ხასიათიც ერთნაირი აქვთ.

ტყუპები უფრო ხშირად ებადებათ ისეთ მშობლებს, რომლებიც ან თვითონ არიან ტყუპის ცალები, ან ასეთი ახლო ნათესავები ჰყავთ.

## გოგო თუ ბიჭი?

თეორიულად ეს საკითხი დამუშავებულია: ქრომოსომები, სქესები... მაგრამ კონკრეტულად თქვენ რა გეყოლებათ, სამწუხაროდ არ ვიცით. ბიჭი გაჩნდება თუ გოგო? ეს კითხვა უხსოვარი დროიდან აინტერესებდათ ადამიანებს. ბერლინის ერთ-ერთ მუზეუმში ინახება რამზეს მეორის (ჩვ. წელთაღრიცხვამდე XIV-XIII საუკუნე) პაპირუსი, რომელშიც წერია: რომ გავიგოთ ბიჭი შეეძინა თუ გოგო, ორსული ქალის შარდით უნდა მოვრწყოთ ქერისა და ხორბლის თესლი. თუ ადრე ქერი აღმოცენდა, ბიჭი გაჩნდება, თუ ხორბალი — გოგო. ამ მოსაზრების შესამოწმებლად აგერ ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში პაპირუსის რეცეპტით მოეწყო ექსპერიმენტი. შედეგი გაინტერესებთ? ძველ ეგვიპტელთა რეკომენდაცია 80 პროცენტით გამართლდა.

შესაძლოა უკეთესიც იყოს, რომ წინასწარ არ ვიცით, გოგონა იქნება თუ ბიჭი. იქნება ბრძენმა ჩვენზე უკეთ იცის, ვინ და რამდენი გააჩინოს.

## „უკუღმა დაბადებული"

მშობიარობაზე წინა ნომერში გესაუბრეთ. დაგვრჩა ცოტა რამ. ბავშვი ფეხების წინამდებარეობით იბადება — ესე იგი, თავის ნაცვლად ფეხებით მოდის. მართალია, ამ დროს მშობიარობის წინა პერიოდი რამდენადმე გრძელდება, მაგრამ სხვა მხრივ გამოცდილი ექიმისა და ბებიაქალის ხელში არც მშობიარისთვის და არც ნაყოფისთვის საშიში არაფერია.

## ახალშობილის წონა და ზომა

ცხადია, ყველას სურს ნორმალური ბავშვი გააჩინოს, მაგრამ რას ვეძახით ნორმალურს?

ნორმალურია, როცა ორი ან სამი ტყუპის წონა და ზომა ჩამორჩება ერთი ნაყოფისას. ნუ შეშინდებით, ჯანმრთელი ტყუპები მალე ეწევიან ზომა-წონაში თავის თანატოლებს. ხოლო ნორმალური ერთი ბავშვის სიგრძე 50 სმ-ია, წონა 3. 300 გრამი. მცირე გადახრები დასაშვებია.

# გოგონები შემზარავ საიდუმლოს მალავენ

ეს ამბავი თბილისის ახლოს მოხდა. გასაგები მიზეზების გამო არ დავასახელებთ სოფელს, დაზარალებულთა და მსჯავრდადებულის ნამდვილ გვარებსა და სახელებს.

დიდხანს ყოყმანობდა ავტორი და რედაქცია, ღირდა თუ არა ამ მძიმე თემაზე წერილის დაწერა, მით უფრო, რომ შემთხვევა იშვიათია, თანაც შემაზრზენი და მეტად მტკივნეული.

მაგრამ მაინც თუ გადავწყვიტეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ გვინდა გავაფრთხილოთ მშობლები, განსაკუთრებით გოგონების დედები, გულუბრყვილოდ ნუ ენდობიან და ნუ ანდობენ შვილებს ისეთ პიროვნებას, რომელიც მახლობლის, მზრუნველის როლს თამაშობს, სინამდვილეში კი არავინ იცის, გულში როგორ ზრახვას მალავს.

უბედურება დაატყდა თავს თამილა ლეშკაშელს. მოულოდნელად მეუღლე გარდაეცვალა. ახალგაზრდა ქალს სამი მცირეწლოვანი შვილი დარჩა, ორი გოგონა და ერთი ვაჟი. გოგონები ათი და ოთხი წლის, ბიჭი უფრო პატარა. მთელი სოფელი ამოუდგა მხარში უმწეოდ დარჩენილთ. მეზობლებისა და ახლობლების დახმარებით ცხოვრება თავის დინებით წავიდა.

განსაკუთრებით ახლო ნათესავი და კარის მეზობელი, 60 წელს მიღწეული შალიკო ოსიყმაშვილი აქტიურობდა.

— რა დაგემართა, შე კარგო ქალო, — დილით ეზო-კარს შეუღებდა და ომახიანად შეეხმიანებოდა ჭარმაგი კაცი, — ნუ სწუხარ, სამსახურში დამშვიდებული წადი, სახლსა და ბავშვებს მივიხედავ. უცხო ხომ არა ვარ, ერთი სისხლისა და ხორცისა ვართ, ისე მიგულე, როგორც მამა და მამამთილი.

შალიკოს სიტყვები ამხნევებდა თამილას. გულში ლოცავდა კიდეც. რა იცოდა საცოდავმა ქალმა თუ ეს ხანდაზმული კაცი რა საშინელ უბედურებას უმიზნებდა მის ობოლ ბავშვებს.

ნანას ხადაცაა 13 წელი შეუსრულდებოდა. ის დედის მაგივრობას უწევდა უმცროსებს. სკოლიდან დაბრუნებული პირველ რიგში უმცროს დას დააპურებდა და სკოლაში გაუშვებდა. მერე თავის გაკვეთილებს და ოჯახს მიხედავდა.

შალიკო როგორც კი გაიგებდა გოგონა სკოლიდან დაბრუნდაო, მაშინვე მასთან გაჩნდებოდა. თავზე ხელს გადაუსვამდა და მიეფერებოდა.

ერთ დღეს, როცა ნანა სკოლიდან დაბრუნდა და უმცროსი და გაისტუმრა, ხნიერი მეზობლის ძახილი გაიგონა:

— ნანა, შენს გაზრდას, მომეხმარე. ი, სამგლე მამალი საბძელში შემძვრა და კვერცხებზე დაბუდებული დედლები ერთიანად დააწიოკა. გადმოდი, შვილო, ერთი შენებურად დამიტრიალდი. — კაცი გოგონას გადასვლას არ დაელოდა, საბძლისკენ წავიდა.

ნანა სწრაფად გადაევლო ღობეს და საბძლისკენ გაიქცა. კარი შეაღო თუ არა, მოულოდნელად კაცი ქორივით დააცხრა უსუსურ ბავშვს და თივის ზვინისკენ წაათრია. უმწეო შველას თხოულობდა, მაგრამ ამაოდ...

— იცოდე, ჩემი ხელით გამოვჭრი ყელს შენს და-ძმას, ვინმეს ეს ამბავი რომ გაუმხილო, —ჩაუსისინა არაკაცმა ატირებულ, გაოგნებულ გოგონას და ხელისკვრით გამოაგდო გარეთ.

იმ ავადმოსაგონარი დღის შემდეგ ნანა დაღონა, დაილია, ოჯახის წევრებსა და სკოლის ამხანაგებს გაურბოდა. თავის ეზოში მობორიალე „შალიკო ბიძიას" რომ დაინახავდა, კანკალი აიტანდა, სახლის უკან ბუჩქებში შეიმალებოდა და გულამოსკვნილი ტიროდა.

ბოროტი კაცი ჯერ ფრთხილად ზვერავდა, ხომ არავის არაფერი გაუგიაო. რომ დარწმუნდა, დედამ არაფერი იცის და ბავშვიც თქმას ვერ გაბედავსო, გათამამდა და რაკი უფროსი გაურბოდა, უმცროსს — ცხრა წლის გოგონას დაადგა თვალი. ერთ დღეს, როცა ახლომახლო არავინ ჭაჭანებდა, ეზოში გამოსული ლია დაინახა და თითი დაუქნია: შენთვის ტკბილეული მაქვსო. სახლის პირველი სართულის სამზადში შეიყვანა და, კანფეტები მართლაც ჩაუყარა მუჭში. შემდეგ გოგონა მუხლებზე დაისვა...

ჭირმა თავი არ დამალა. ნანას უგუნებობისა და მწუხარების მიზეზი მალე გაირკვა. გოგონას მუცელი წამოეზარდა. ბავშვის ფეხმძიმობა ელდასავით მოედო სოფელს. ბოროტებას ფარდა აეხადა.

შალიკო ოსიყმაშვილი სასამართლოზე, სადაც აღშფოთებულ ხალხს ძლივს აკავებდნენ, თავს დამნაშავედ არ სცნობდა. იგი უტიფრად უარყოფდა დანაშაულს. მაგრამ მოწმეთა, დაზარალებულთა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებითა და სხვა სამხილი მასალებით ბოროტმოქმედება დადასტურდა. სახალხო სასამართლომ სწორი შეფასება მისცა დანაშაულს...

**ზაალ მესენგისერი,**
საქართველოს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის წევრი.

**მინაწერი.**

ან, ახეთია ეს სამწუხარო ამბავი.

იგი იმიტომ არ დაგვიხატავს, რომ ხვალიდანვე ყველა ცხადია. იგი იმიტომ არ დაგვიხატავს, რომ ხვალიდანვე ყველა ახლობელში, ყველა კეთილისმოსურნე მეზობელში — ცხვრის ტყავში გახვეული მგელი დაინახოთ. ღმერთმა დაგვიფაროს. საქართველოში ოჯახების, სახვავრი მეზობლების იმედითაა და ეს იმედი ღმერთმა ნუ მოგვიშალოს, მაგრამ ერთგვარი სიფხიზლე, მეტი გულისყური და დაკვირვება ქალიშვილის დედას უსათუოდ მართებს. დედას არ უნდა გამორჩეს, რომ ქალიშვილი შეიცვალა, სადღაც ლობს, რაღაც მძიმე ფიქრი აწუხებს, ბორგავს, ვერ უთქვამს. დედა უნდა ცდილობდეს ქალიშვილი ისე აღზარდოს, რომ არაფერს უმალავდეს, მეტიც, მოთხოვნილება ჰქონდეს ყველა ფიქრს, ეჭვს, გრძნობას დედას — უზიარებდეს.

სამწუხაროდ, დედები ძალიან დაკავებულნი არიან: თითქმის დროც აღარ რჩებათ შვილებთან გულახდილი საუბრისათვის, საზრუნავი დიდია, საქმე — დამქანცველი, ფიქრი — მძიმე, მაგრამ ამ ყოველდღიური ცხოვრების დავიდარაბაში მაინც არ უნდა დაგვავიწყდეს მთავარი, არ უნდა გაწყდეს ის ძაფი, რაც შვილთან გვაკავშირებს, თორემ ეს სულიერი კავშირის გაწყვეტაა, უფსკრულისკენ რომ გვიბიძგებს, და მეორე — დედა ვალდებულია სულ სხვა, ფაქიზად დაკვირვებული თვალით შეხედოს ყველას და ყველაფერს, რასაც მის შვილთან კავშირი აქვს.

ჩვენ, დედებს არა გვაქვს არხეინად ყოფნის უფლება. რასაც გინდ ვაკეთებდეთ, ჩვენი გონების ერთი გუშაგი მუდამ უნდა ჩაგვძახოდეს: სად არის ამ წუთში შვილი, რას აკეთებს, რას ფიქრობს, ვისთან და რატომ მიდის, რას მეუბნება და რას მიმალავს. თუ არა, ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება, როგორც ზემოთ მოთხრობილ სამწუხარო ამბავში მოხდა.

მხოლოდ ამიტომ გამოვიტანეთ თქვენს სამსჯავროზე ეს წერილი. გოსოვთ გამოგვეხმაუროთ, მაგრამ ნუ შემოიფარგლებით ამ კონკრეტული დამნაშავის ისტერიული ლანძღვით. მან თავისი საკადრისი უკვე მიიღო. სჯობს გაგვიზიაროთ თქვენი აზრი, თქვენი მოსაზრება თემაზე „დედები და ქალიშვილები". გვიამბოთ თქვენთვის ცნობილი კონკრეტული მაგალითებით აღზრდაში, სავროთ დედაშვილის ურთიერთობაში დაშვებულმა შეცდომამ რა შედეგამდე მიიყვანა ოჯახი. იქნებ ამგვარად სადღაც ავაცილოთ სხვა ოჯახებს ისიც, ხომ ჩვენი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია!

# ბენეფისი... ბენეფისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზინა კვერენჩხილაძე

ნინო მამულაიშვილი



ბენეფისი ფრანგული სიტყვაა და სარგებლობას, მოგებას ნიშნავს. შესაძლოა, თავიდან ამ მნიშვნელობით დაუკავშირდა ბენეფისი სასცენო ხელოვნებას. პირველად იგი საფრანგეთში ჩატარდა 1735 წელს. თუკი დასაწყისში ბენეფისი ძირითადად სცენის ხელოვანთა შემოსავლის დამატებითი წყარო აღმოჩნდა, თანდათან შემოქმედის გამორჩეული მდგომარეობის აღნიშვნის სახეობად იქცა. იყო შემთხვევები, როდესაც თეატრის ხელმძღვანელობა რომელიმე მსახიობთან ხელშეკრულების გაფორმების დროს საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ მას სეზონში ერთ არ ორ ბენეფისსაც გაუმართავდა. მუდმივმოქმედ ქართულ დასსაც არაერთი ოსტატის ბენეფისი აღუნიშნავს. სადღეისოდ ბენეფისი თეატრის ზეიმის, ოსტატის ღვაწლისა და ნიჭის დაფასების დღესასწაულად აღიქმება, რაც აგრერიგად გვაკლია.

ჩვენში დამკვიდრებული შემოქმედებითი საღამოები ბენეფისს ვერ შეედრება. ბენეფისების ტრადიციის აღდგენით მრავალი პრობლემის გადაჭრას შევძლებთ. თეატრში დაისადგურებს ზეიმი, სცენის ოსტატებსა და ახალბედებს სიხალისეს შემატებს, მაყურებელს მოიზიდავს და მსახიობებს ეკონომიკურად წაახალისებს კიდეც.

ერთი ხიბლიც თან სდევს ბენეფისს: მსახიობი მისთვის საგანგებოდ ემზადება – ირჩევს სასურველ მასალას, ზოგჯერ ნაოცნებარ როლს, რომელიც თეატრის რეპერტუარში ვერ აღმოჩნდა (ზოგჯერ სპეციალურად ამ დღისთვის დრამატურგები პიესებსაც სწერდნენ. ასე მაგალითად, აკაკი წერეთელმა ერთ ღამეში დაწერა „კინტო“ – ნატო გაბუნიასთვის), თეატრის ხელმძღვანელები და რეჟისორები კი დარწმუნდებიან, რომ ბევრი მსახიობის მონაცემებს რეალიზაცია სჭირდება. იქნებ, ამ გზითაც გამდიდრდეს რეპერტუარი.

სათეატრო ცხოვრებისთვის დამახასიათებელია მსახიობის შემოქმედებითი პაუზა, რომელიც უდიდეს სულიერ, ემოციურ და პროფესიულ ტრავმას იწვევს. რეპერტუარში ხანგრძლივად დაუსაქმებელი მსახიობი დისკვალიფიკაციისთვის არის განწირული. ასეთი პაუზის შესავსებად ზოგი მხატვრულ კითხვას ეწაფება, ზოგი პედაგოგიურ მოღვაწეობაში ეძიებს გამოსავალს, არაერთი ფილარმონიასთან თანამშრომლობს; კინოხელოვნება, სატელევიზიო თეატრი, რადიო ეხმაურებიან მსახიობს თავისი უნარისა და მისწრაფებათა რეალიზაციისთვის, მაგრამ მაყურებელთან ცოცხალი კონტაქტი ეს არის მაცოცხლებელი წყარო, რომლის გარეშეც აქტიორს არსებობა არ შეუძლია!

...ამ სტატიის დაწერა ერთმა შემთხვევამ გადამაწყვეტინა.

**13 აპრილს ქართული თეატრის მოღვაწეთა კავშირის თაოსნობით ალექსანდრე ახმეტელის ხსოვნის საღამო უნდა ჩატარებულიყო რეჟისორის მშობლიურ კუთხეში, ანაგა და სიღნაღი ალექსანდრე ახმეტელის 105 წლისთავის აღნიშვნისთვის ემზადებოდნენ.**

საღამო ასე იყო ჩაფიქრებული: მოგონებებს მსახიობთა გამოსვლები უნდა შენაცვლებოდა, რუსთაველის თეატრის მსახიობებს ვთხოვე, დამატებით მოემზადებინათ სცენა ან მონოლოგი ახმეტელისეული სპექტაკლიდან „ინ ტირანოსი“, მსახიობები უმალ დამთანხმდნენ.

...სიღნაღის კულტურის სახლის პატარა და მოუწყობელ სცენაზე იდგნენ ქალბატონი ზინა კვერენჩხილაძე და ბატონი გოგი გეგეჭკორი. მრავლისმთქმელი პაუზა გამეფდა. გაისმა ქალბატონ ზინას მკაცრი, რისხვით დაგუბებული ხმა, ტრთოდა მსახიობის სული, თვალები კი ბრწყინავდნენ. და ხუთი წუთით გაცოცხლდა ფოტოსურათებზე შემორჩენილი ახმეტელის სწორუპოვარი თეატრის ვნებათაღელვა. ზეაღმართული მტკიცე მარჯვენით და შემართული სხეულით დაასრულა ბატონმა გოგიმ მონოლოგი. თვალწინ დამიდგა ახმეტელისეული სპექტაკლის კარლ მოორი. ფოტოსურათზეც ზუსტად ასეა აღბეჭდილი ამ როლის შემსრულებელი. მონოლოგის შინაგანმა მუხტმა, სიტყვით გამოხატულმა ეპიზოდის არსმა, ბუნებრივად დაბადა ორივე შემთხვევაში ერთნაირი პლასტიკური პარტიტურა. მსახიობებმა, ამ ერთი შეხვედრის შემწეობით, თავიანთ ოსტატობას კიდევ ერთი გამოცდა მოუწყვეს. ბენეფისი ოსტატობის გამოცდის საშუალებაცაა! – ეს გავიფიქრე იმ წუთებში, როდესაც დარბაზმა მხურვალე ოვაციით დააჯილდოვა მსახიობები.

იგივე აზრი განმიმტკიცდა 15 აპრილს. ამ დღეს მსახიობთა სახლის სცენაზე თამარ წულუკიძის ხსოვნის საღამო გაიმართა. სცენაზე მხოლოდ ერთი მსახიობი იდგა. იგი კითხულობდა ნაწყვეტებს თამარ წულუკიძის მოგონებათა წიგნიდან „მხოლოდ ერთი სიცოცხლე“. დროდადრო ჩაგვესმოდა მთრთოლვარე ხმა ახალგაზრდა მსახიობისა, რომელიც დიდი ტკივილით გვიმხელდა მომხიბლავი ქალისა და ნიჭიერი მსახიობის, თამარ წულუკიძის ტრაგიკულ თავგადასავალს. მას მხოლოდ დოკუმენტური მასალის გულწრფელად ემოციურად და აზრიანად წაკითხვა ევალებოდა. მაგრამ... ეს სანახაობა მონო-სპექტაკლად იქცა. მსახიობი ნინო მამულაიშვილი სულითხორცამდე შეძრწუნებული იყო თამარ წულუკიძის განამებული ბედის ტრიალით, დიდი სურვილი ჰქონდა, როგორღაც გამოეხატა თავისი მოქალაქეობრივი დამოკიდებულება მრავალტანჯული და ზნეობრივად ამაღლებული უფროსი კოლეგისადმი, და მაინც ახალი როლის წყურვილი, იამაშის მონატრება შეინიშნებოდა ამ ულწრფელ განდობაში.

**ზინა კვერენჩხილაძესაც და ნინო მამულაიშვილსაც განცდილი აქვთ შემოქმედებითი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაუზის სიმწარე. სცენის ოსტატი, ქალბატონი ზინა — ლელას, ანტიგონეს, ფედრას, მედეას როლების შემსრულებელი, ძლიერი ხასიათებისა და ვნებათაღელვის წარმოჩენით, რუსთაველის თეატრის ხელოვნებას ამდიდრებდა. წლების მანძილზე რეპერტუარის ძირითადი სიმძიმე მხრებზე აწვა და მაყურებლის ჭეშმარიტ სიყვარულს იმკიდა. მერე კი ჩამოწვა გაუსაძლისი პაუზა... მსახიობმა მხატვრული კითხვის ჩინებული ნიჭიც გამოამჟღავნა. ახე შეიქმნა მთელი ციკლი ქართული პოეზიის მარგალიტებისა, რომელთა ინტერპრეტატორი — ზინა კვერენჩხილაძე ახალი ასპექტით წარმოჩინდა ჩვენს წინაშე.

ნინო მამულაიშვილმა 1975 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი. იგი მიხეილ თუმანიშვილის შეგირდია. ამ ჯგუფს წილად ხვდა ბედნიერება კინომსახიობთა თეატრის შექმნისა, მაგრამ ქალბატონი ნინო მეუღლესთან, ნუგზარ ლორთქიფანიძესთან ერთად თელავს გაემგზავრა და მალე დასის წამყვანი ძალა გახდა, შექმნა მრავალი საინტერესო როლი. შემდეგ ორი სეზონი რუსთავის თეატრში გაატარა.

ახლა იგი კინომსახიობთა დასის წევრია და თავის ჯგუფელებთან ერთად მოღვაწეობს. თითქოს ყველაფერი აეწყო. ქალბატონი ნინო იმ თეატრში აღმოჩნდა, რომელიც თავისი მრწამსის თანახმიერია, მაგრამ შემოქმედებითი პაუზა მაინც გაჩნდა. ნინო მამულაიშვილმა ლიტერატურულ საღამოებში მიიღო მონაწილეობა: გახმაურებულ ორიოდ სანახაობას გავიხსენებ: „ქართული საგალობელი“ — კითხულობდა ნინოწმინდის საგალობელს, „ენა, მამული, სარწმუნოება“ — კითხულობდა აკაკის პატრიოტულ ლირიკას... ვფიქრობ, რომ იგი საინტერესო აქტიორული ძალაა და რამდენ დასანანია, რომ კინომსახიობთა თეატრის დასში მისი სახით ჯერ კიდევ ბოლომდე ამოუხსნელი მსახიობი იმყოფება.

რუსთაველის თეატრის სცენას ძალზე დააკლდა ზინა კვერენჩხილაძის ძლიერი სულის, მტკიცე ნებისა და მშფოთვარე ვნებათაღელვის გმირები. მაყურებელი ელის თავის რჩეულთან შეხვედრას. კინომსახიობთა თეატრის შემოქმედებით ცხოვრებას უთუოდ გაამდიდრებს ნინო მამულაიშვილის ხელოვნება. დრო გადის, შემოქმედებითი პაუზა სულს უფორიაქებს მსახიობებს. ნიჭი და უნარი სასცენო უმოქმედობის ჯებირს მაინც არღვევს და სხვადასხვა სახეობით ამკვიდრებს აქტიორის დაუოკებელ სურვილს, სცენიდან ესაუბროს თავის მაყურებელს...

ამ ორმა საღამომ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა მსახიობის თავის თავზე მუშაობის აუცილებლობა. და როცა მათ შევყურებდი, შინაგანად აღვსილთ, ვფიქრობდი, რატომ უნდა მოვაკლოთ მათ ზეიმი, თავის მაყურებლებთან შეხვედრის სიტკბოება, თუნდაც ამ ურთულესი ეკონომიკური კრიზისის დროს ბენეფისით მოპოვებული სარგებლობაც. იქნებ ღირდეს ამ ტრადიციის აღორძინება.

ნათელა არველაძე

მკითხველო, ამ ბარათების ავტორები თქვენს გამოხმაურებას ელიან.

## დედამ ბაგაში დატოვა ბავშვი და გაიპარა

სამსახურიდან ვბრუნდებოდი. შამაკაცის ნაღვლიანი ხმა შემომესმა. შევხედე, ჩემი მეზობელი დათოა. თითქოს შველას მთხოვდა, ისეთი თვალებით მიყურებდა.

— რა დაგემართა, — ვკითხე შეშინებულმა, — ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა, ბავშვი ან მეუღლე როგორა გყავს?

მას საშინელი ოხვრა აღმოხდა:
— წავიდა, ოჯახი დატოვა, ბავშვიც ბაგაში მიატოვა და სხვას გაჰყვა ცოლად, თანამშრომელს.

ახალგაზრდა დედა, რომელიც თავის პირმშოს ბაგაში დატოვებს და სხვას გაეკიდება, აბა ის რა ქალია, რა დედობის ღირსია?

საბრალო ქმარი საავადმყოფოშიც კი ეძებდა ცოლს, რაიმე უბედურება ხომ არ მოხდაო, იმდენად იყო დარწმუნებული ცოლის პატიოსნებაში.

ბავშვს აღმზრდელებიც ჰყავს და მზრუნველი ადამიანებიც, მაგრამ როცა გაიზრდება და დედას მოიკითხავს, რა უპასუხოს მამამ?

ნინო ბ.

## მშობლებს ექიმი სარძლო უნდოდათ

ვწერდი ლექსებს და იმის გარდა არავის ვუჩვენებდი, ვისაც ეკუთვნოდა. ერთხელ დედამ წაიკითხა და მიხვდა, რომ მეწვია გრძნობა, რომელსაც პირველი სიყვარული ჰქვია.

ჩვენ ურთმანეთოდ არ შეგვეძლო. ფიქრებით, ოცნებებით სულ ერთად ვიყავით. ბედნიერად მიგვაჩნდა თავი და გვეგონა არ არსებობდა ძალა, რომელიც დაგვაშორებდა.

როცა შევუყვარდი, სკოლაში ვსწავლობდი. ის სტუდენტი იყო, ხშირად ჩვენს ფანჯარასთან იდგა, მიცდიდა, ქუჩაში გასულს მოშორებით მომყვებოდა. ახლოს მოსვლას ვერ ბედავდა. დაბადების დღეზე და დღესასწაულებზე ყოველთვის ყვავილებს მიგზავნიდა.

სკოლა რომ დავამთავრე, ბებიასთან წავედი. სოფელშიც მომაგნო. ჩამოვიდა, დამინახა და წავიდა. ჩემმა მშობლებმა აუკრძალეს მოსვლა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ის მაინც კუდში დამყვებოდა...

ინსტიტუტში შესასვლელად ქულები მაკლდებოდა, მეხვეწებოდა, მშობლებს მოველაპარაკები და თუ თანახმა იქნები, მოგკიდებ ხელს და წაგიყვანო. ჩვენები მხარში ამოგიდგებიან და ისწავლიო. მოხალაპარაკებლად მშობლებთან წავიდა რაიონში. გულისფანცქალით ველოდი როდის ჩამოვიდოდა. იმ დღეებში ჩემი დაბადების დღე იყო და ვიცოდი არ დაავიწყდებოდა, მომილოცავდა. მაგრამ არ მოვიდა. რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდა. გულჩათხრობილი და გაწბილებული ჩანდა. მშობლებმა მითხრეს, ცოტა ხანს კიდევ მოიცადე, ჩააბაროს, ხელს ნუ შეუშლიო...

სინამდვილეში კი ვაჟს რომ უთქვამს ცოლი უნდა მოვიყვანოო, გადარეულან მშობლები. ჩვენ ექიმი რძალი გვინდა, აბიტურიენტი კი არაო. მეზობელ სოფელში გამოძებნეს ექიმი სარძლო, ყველაფერი გადაწყვიტეს. გოგო თანახმაა. მისი მშობლებიც. ბიჭის ოჯახი გახარებულია, გულმოკლული ვაჟი შორიდან უყურებს ამ ფაციფუცს და მწარე ფიქრებს მისცემია.

ალბათ მაინც შეიქმნება მშობლების ინიციატივით შეკოწიწებული ოჯახი.

მე კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ „ბედნიერებით“ სამი ადამიანი გაუბედურდა: მე, ბიჭი და ის ქალი, რომელიც ქმარს არ ევყარება.

თქვენ როგორ ფიქრობთ, მკითხველო?

ლია ტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალურად „საქართველოს ქალისათვის"

დღეს რამდენიმე რჩევას — მხოლოდ და მხოლოდ „საქართველოს ქალის" მკითხველებისათვის — იძლევა მსოფლიოში ცნობილი კოსმეტიკური ფირმა სან-სუსის დირექტორი კოსმეტიკის განხრით, მომხიბვლელი სიგრიდ ფიშერი.

# სან-სუსი, სილამაზე ბადენ-ბადენიდან

— „Look of 60-S" სტილს, რომელიც წელს შემოდის მოდაში, უკვე ჰყავდა დაპყრობილი მსოფლიოს ყველა ქალი 60-იან წლებში, — ამბობს მის ფიშერი, — მაგრამ საქმე მხოლოდ წარსულის მონატრებაში როდია. ეტყობა, პეჭებგანიერი, მოკლედ შეკრეჭილი და, შესაძლოა, მეტისმეტად ვაჟური ქალიშვილების შემდეგ, ყველას ძალიან დაგვაკლდა და მოგვენატრა ქალურობა.

— როგორ უნდა „ვიცნოთ" ეს სტილი?

— სოფი ლორენი გაიხსენეთ: მსხვილი, მკვეთრი წითელი ფერის ტუჩები, ძალზე შეღებილი თვალები, გრძელი თმა. ქერა ქალები აღარ არიან მოდაში. მუქი ფერი ტანსაცმელშიაც ჭარბობს — შავი, ნაცრისფერი, მუქი ყავისფერი.

— კი მაგრამ, ყველას შეუძლია ასეთი მოდის „მორგება"? და საერთოდ, როგორ უნდა გავაგოთ — რა გვიხდება და რა არა?

— მომწონს თქვენი კითხვა. ქალმა ხშირად უნდა დაუსვას ხოლმე იგი თავის თავს. არავის მიბაძვას არ გირჩევთ. ყურადღებიანი იყავით საკუთარი თავის მიმართ და თქვენ შეძლებთ თქვენი სტილის გამოცნობას. გაიხსენეთ, რომელ ტანსაცმელში გრძნობდით თავს ყველაზე უკეთესად? რა გეცვათ, როცა ირგვლივ ყველა ქათინაურებს გეუბნებოდათ და გარწმუნებთ, თქვენი მოგონებების ფერთა გამა იქნება უტყუარი მრჩეველი. ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ არსებობს ქალთა 4 ტიპი (ფერის ტიპის მიხედვით), რომლებიც პირობითად წელიწადის დროთა სახელებით იწოდებიან: ერთი მხრივ, „გაზაფხული" და „შემოდგომა" (თბილი ტონები), მეორე მხრივ „ზაფხული" და „ზამთარი" (ცივი ტონები). თუ თქვენ საკუთარ თავს არ ენდობით, თქვენიანებს, ახლობლებს გამოკითხეთ რომელ ფერში მოსწონხართ — ამრიგად, თქვენ შეძლებთ, დაადგინოთ, რომელია თქვენი — ცივი თუ თბილი ტონები.

— თუ შეიძლება, ჩამოგვითვალეთ ფერება „წელიწადის დროთა" მიხედვით?

— სიამოვნებით, თუმცა მე მხოლოდ ძირითად ფერებს დაგისახელებთ (არსებობს მათი მრავალი ელფერი): გაზაფხული-ბალახისფერი მწვანე, ლიმონისფერი ყვითელი, ჩახჩახა ცისფერი, შემოდგომა-ზეთისხილისფერი, ყვითელ-ქანგისფერი, მუქი ლურჯ-მწვანე, ზამთარი — ჩახჩახა ვარდისფერი, შავი, ჩახჩახა ყვითელი, ზაფხული — მშვიდი ვარდისფერი, ბორდო, მოყავისფრო-ფოლადისფერი.

— ვთქვათ, მიმაჩნია, რომ ჩემი ტონები ცივი ტონებია. მერე?

— ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ სწორედ შეარჩიეთ კოსტუმის ფერი — შავი. თქვენს ტანზე ეს ფერი სამგლოვიაროდ კი არ გამოიყურება, პირიქით — კოხტად, კეკლუცად. შესაბამისად უნდა შეირჩეს კოსმეტიკის ფერებიც — ფერ-უმარილი, ჩრდილები, თვალის ფანქარი, ტუჩის პომადა.

— მე მესმის, რომ თითოეულმა ჩვენმა მკითხველმა, პირველ რიგში, თავისი ტონები უნდა შეარჩიოს და დაადგინოს, მაგრამ როგორ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ინდივიდუალურიც ვიყოთ და ამავე დროს, —მოდურიც?

— 60-იანი წლების მოდა ვიწრო, წვრილ, წაგრძელებულ თვალებს გულისხმობს. თვალებზე შავი ფანქარი უნდა შემოვივლოთ, თვალის კილოს დასაწყისიდან, და გავაგრძელოთ იმ ადგილის იქით, სადაც თვალი „მთავრდება". საფეთქლისკენ ხაზის შემოხატვა სწორედ ასე უნდა მოხდეს — და არა პირიქით. თუ ფართო თვალები გაქვთ და გინდათ, რომ ისინი ვიწროდ გამოიყურებოდეს, ქუთუთოს ქვედა შიდა ზედაპირზე თეთრი ფანქრით გაუსვით ხაზი, მერე კი იგივე ხაზი გარეთა მხრიდანაც გაიმეორეთ, ოღონდ უკვე შავი ფანქრით. მოდაშია შავი ტუში წამწამებისთვის. ჩრდილები შეირჩევა თქვენი კოსტიუმის შესაბამისად, და არა, როგორც ზოგიერთს მიაჩნია, თვალების ფერის მიხედვით. თუ ამათზე აიღებთ ორიენტაციას, ქუთუთოს ფერი მოსაბეზრებლად ერთნაირი იქნება. ნუ იხმართ ჩახჩახა ფერ-უმარილს — ეს აღარ არის მოდაში.

მოდა ტუჩის პომადის მიმართაც დემოკრატიულია, თქვენი გემოვნების მიხედვით, შეგიძლიათ შეარჩიოთ ვარდისფერის ელფერები, რათა ტუჩები არ გამოიყოფოდეს, ანდა, პირიქით, ძალზე მკვეთრი ფერი, რომელიც ხაზს გაუსვამს თქვენს სავსე ტუჩებს. მოდა სხვაზე სწორედ თვალებისა და ტუჩების აქცენტირებას მოითხოვს, ამასთან, მთავარი ყურადღება თვალებს ეთმობა.

მის ფიშერ, თქვენ პირველად არ ბრძანდებით საქართველოში და როგორც პროფესიონალი, ალბათ, ყურადღებას მიაქცევდით იმას, თუ როგორ ილებებიან ჩვენი ქალიშვილები. შეგიძლიათ მიგვითითოთ თვალში მოსახვედრი შეცდომები?

— ქართველ ქალიშვილებს თავისი სტილი აქვთ, ისინი საკუთარ ტრადიციებს მისდევენ. თუ ერთი შეხედვით გეჩვენება, რომ ქალიშვილებს სახეზე უჩვეულოდ ბევრი კოსმეტიკა აქვთ, მერე თანდათანობით იწყებ იმის გაგებას, რომ ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებულ ამ მანერას თავისი მიმზიდველი მხარეები აქვს. მზესავით ჩახჩახა ადამიანები სითბოს ფენენ გარშემო მყოფთ. მე მაინც ვურჩევდი თქვენს ქალიშვილებს ლოყებზე ოდნავ უფრო თავშეკავებული ფერები ესმარათ, თუმცა ვიმეორებ ეს თითოეულმა თავად უნდა გადაწყვიტოს. მეტი ყურადღებაა საჭირო ფერთა შეხამების, ე. წ. ფერთა გამისადმი. თქვენი ტონები, რომელთა შესახებაც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, ტუჩების ფერშიც უნდა იგრძნობოდეს და ტანსაცმელის ფერშიც. რამდენადაც მე მივხვდი, ქართველ ქალებს, სახის კანი, როგორც საზოგადოდ სამხრეთული ჰავის პირობებში, ძირითადად ცხიმიანი ან კომბინირებული აქვთ, უფრო იშვიათად მშრალი. ცხიმიანი კანი სათუთ მიპყრობას საჭიროებს და ამიტომ, ვფიქრობ, თქვენი მანდილოსნები არ უნდა უგულებელყოფდნენ კოსმეტოლოგთა რჩევებს კანის მოვლასთან დაკავშირებით, დემოკრატიულ კოსმეტიკაზე მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადახვიდეთ.

ესაუბრა ᲞᲔᲞᲘ ᲑᲝᲩᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

# ღამისპერანგი მერილინ მონროსათვის ანუ სუნამო „შანელის" საიდუმლოება




1955 წელს მთელი საუკუნის ცნობილ მოდელიორად აღიარებული მადემუაზელ შანელი ისევ შეუდარებელია.

და დღეს, ამ ცნობილი ფირმის სუნამოები, კოსმეტიკა, მოდელები, მზა კაბები, აქსესუარები და საიუველირო ნაწარმი წარმატებით უძლებენ დროის გამოცდას. ამ ფირმას ორი ელემენტი მუდამ თან ახლავს – ელეგანტურობა და უმაღლესი ხარისხი. სწორედ ამის წყალობით გახდა ცნობილი მთელ მსოფლიოში ფირმა „შანელი", რომელსაც თავის საქმეში ავტორიტეტულობის სიმბოლოდ სახავენ.

1921 წელს შანელმა მსოფლიო პარფიუმერიაში გადატრიალება მოახდინა. ცნობილ პარფიუმერ ერნესტ ბოსთან ერთად მან თავისი პირველი სუნამო გამოუშვა. ის თავისებურად უნიკალური აღმოჩნდა. შუშის უბრალო, თლილ ფლაკონს თეთრი ლაკონური ეტიკეტი ჰქონდა, ერთადერთი ციფრით № 5.

დაახლოებით 80 კომპონენტი ქმნის სიფაქიზეთა და აბსტრაქტულობით დამახასიათებელ სუნამოს, რომელიც წამსვე ამოიცნობოდა ყვავილთა იმავე გამოსაგან შექმნილი სხვა სუნამოებისაგან. გამორჩენის დღიდანვე „შანელ №5"-მა წარმატება მოიპოვა და 70 წლის შემდეგაც ის მსოფლიო პარფიუმერიის მწვერვალზე იმყოფება. გასაოცარია, რომ ყოველი ახალი თაობის ქალი ამ სუნამოს სწორედ მისთვის ზედგამოჭრილად მიიჩნევს.

მერილინ მონროსათვის მისივე სიტყვით იგი „ერთადერთ ღამის პერანგს წარმოადგენდა".

1970 წელს შანელმა გამოუშვა „№ 19", ცნობილი სუნამო ტყის სურნელთა მდიდარი არომატით. პარიზის მაღაზია „შანელში", ისევ იყიდება თავის დროზე ცნობილი სუნამოები „№ 22", „გარდენია", „კუირ დე რუსი", „ბუატ დე ზილი".

1983 წელს ფირმა „შანელის" მესამე თაობის ოლფაკტოლოგმა ჟაკ პოლჟმა შექმნა „კოკო". ამ სუნამოს თანამედროვე კომპოზიცია თბილი, სასიამოვნო კლიმატის ფონზე აერთებს კლასიციზმს ბაროკოსთან, დასავლეთს აღმოსავლეთთან.

პარფიუმერიის ამ სამოთხიდან არც მამაკაცები არიან განდევნილნი.

1981 წელს არომატული და ეგზოტიკური „ატეუსი" შეიჭრა იმ მამაკაცთა ცხოვრებაში, რომლებიც თამამად იყენებენ სუნამოს.

ჩვეულებრივი ფლაკონის შექმნისას შანელი უპირატესობას ტრადიციებს და საუკეთესო გემოვნებას ანიჭებს.

ჟურნალ „დელოვიე ლიუდის" მიხედვით

ეს ჩემი შვილის ვარსკვლავი




24 აგვისტო — 23 სექტემბერი

მე-6 ნიშანი ზოდიაქოსი. მე-2 დედამიწის ნიშანი, მე-2 ცვალებადი ნიშანი, მართავს პლანეტა მერკური. ასტროლოგიური სიმბოლოა: ქალწული.

ასტროლოგიური ფერებია: თეთრი, ღია ცისფერი, მწვანე. ასტროლოგიური ქვებია: აქატი, იასპი; ზურმუხტი, ტოპაზი. ბედნიერი რიცხვია: 5 და ყველა ის რიცხვი, რომელიც 5-ზე იყოფა.

ქალწული მართავს ჰოროსკოპის მე-6 სახლს.

ქალწულის ნიშნის ადამიანებს ძლიერ განვითარებული ანალიტიკური გონება აქვთ და მუდამ იმის ცდაში არიან, რომ ყველაფერი თავიანთ მირითად გაჭირვებას დაუქვემდებარონ. ისინი, რასაც კი დაინახავენ, თავისებურ იარლიყს მიაწებებენ, მათ ძალზე დახვეწილი გემოვნება, მახვილი თვალი, სმენა და ყნოსვა აქვს, რაც ქალწულის ნიშნის სიმბოლოა. ეს როდი ნიშნავს, რომ ისინი წმიდათაწმიდები არიან, მაგრამ მათი გასაცვიფრებელი უნარი დაკვირვებისა, უფლებას აძლევს მათ შენიშნონ ყოველგვარი ადამიანური ნაკლოვანება. ჩვეულებრივ მათ არაფერი მოსწონთ და ვით ქალწული, განმორებას არჩევენ.

ისინი ხშირად ეფლობიან მუშაობაში. დიახ, მუშაობა – ქალწულის ღმერთია. ისინი წარმატებებს აღწევენ ლოგიკაში, თანამიმდევრულობაში, დისციპლინაში.

ქალწული – დაბადებით კრიტიკოსია. მისი კრიტიკა სამართლიანია და გულს მტკივნეულად ხვდება. მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ კრიტიკა, რომელიც გულს სტკენს პარტნიორს, იშვიათად აღწევს მიზანს. ის იშვიათად აქებს და ეპირფერება პარტნიორებს. ყველაზე რთული ბრძოლა არის ბრძოლა კომპრომისების წინააღმდეგ. მათ ქვეყანას ვარდისფერი სათვალით უნდა უყურონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ემუქრებათ მიზანთროპად ჩამოყალიბების საშიშროება. ვინაიდან ქალწულები დაჯილდოებულნი არიან ანალიტიკური გონებით, მათ უნდა იბრძოლონ პიროვნებაში ნათელი მხარეების წარმოჩენისათვის და არა პირიქით.

ქალწულისათვის ასევე სახიფათოა, არ გახდეს მიუკარებელი და დაუნდობელი.

29,5 წლამდე ყველაზე სასურველი პარტნიორი ქალწულისათვის კუროსა და თხის რქის ნიშნების შორის მოიპოვება.

29,5 წლის შემდეგ ქალწულები ხვდებიან ცხოვრებისადმი თავიანთ ბრიყვულ დამოკიდებულებას („მხოლოდ სამსახური და არავითარი გართობა"), ასუსტებენ სიმკაცრეს, ქალწულები შეიძლება შეეგუონ ღრიანკალს და ასევე ლომის ნიშნებს.

41,5 წლის შემდეგ ქალწულები უკვე განვითარებულები არიან სულიერად. ახლა ისინი შეიძლება კარგად შეეწყონ მშვილდოსანს.

ცოლ-ქმრობაში ძალიან კარგია, რადგან დიდი ხნის სიყვარულის შემდეგ ქორწინდება და მეუღლის სამუდამო სიყვარული აქვს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კულინარია კულინარია

ბულგარელი მუსიკოსი პეტრე სარალიევი, რომლის ჰობი, აგერ უკვე 30 წელია სამზარეულოში ტრიალია, გთავაზობთ მარტივ და უნიკალურ რეცეპტებს: როგორ დავამზადოთ გემრიელი და ყუათიანი კერძები, როცა სახლში თითქმის არაფერი გვაქვს. ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში თქვენ დაეუფლეთ ცივი საუზმეულის დამზადების წესებს. დღეს ვისაუბრებთ სალათებსა და ცხელ საუზმეულზე.

### შეცდომის გასწორება

ტექნიკური მიზეზების გამო, მე-8 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის ტექსტი არ ემთხვევა გრაფიკულ ნამუშევარს. გთავაზობთ ტექსტის შესატყვის ნახაზს.



### სტაფილოსა და თალგამის სალათა

მასალა: ერთი თალგამი, ორი სტაფილო, ზეთი, ძმარი, მარილი.

სტაფილო და თალგამი კარგად გარეცხეთ და წვრილად დაჭერით. მოაყარეთ მარილი, მოასხით ძმარი და ზეთი და კარგად აურიეთ.

### ვარნული სალათა

მასალა: 4-5 პომიდორი, ერთი კიტრი, 50-100 გ. ყველი, ერთი ხახვი, მარილი ოხრახუში, ძმარი, ზეთი.

პომიდორი გარეცხეთ, გათალეთ. ხახვი დაჭერით და ჯამის ძირში ჩააწყვეთ. ზედ დააწყვეთ მსხვილ-მსხვილ ნაჭრებად დაჭრილი კიტრი და პომიდორი, მოაყარეთ ოხრახუში და პატარა ნაჭრებად დაჭრილი ყველი, მოასხით ძმარი და ზეთი.

### ზეთისხილისა და პომიდორის სალათა

მასალა: 4 პომიდორი, ერთი ხახვი (შეიძლება მწვანე), 15-20 ზეთისხილი, ზეთი, მარილი ოხრახუში.

პომიდორი გარეცხეთ და პატარა ნაჭრებად დაჭერით, დაამატეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, ოხრახუში, ზეთისხილი, მარილი, ზეთი და კარგად აურიეთ. თუ პომიდორი არ გაქვთ, შეგიძლიათ მარტო ხახვი და ოხრახუში გამოიყენოთ, ზეთის ნაცვლად ახეთ შემთხვევაში ძმარი ან ლიმონის წვენი მოასხით.

### სალათა „კიოოპოულო“

მასალა: ერთი ბადრიჯანი, სამი ბულგარული წიწაკა, სამი პომიდორი, ერთი ხახვი, ოხრახუში, 2-3 სუფრის კოვზი ზეთი, ძმარი.

ბადრიჯანი და ბულგარული წიწაკა კარგად გარეცხეთ და შეწვით. წიწაკას თესლი ამოაცალეთ, ბადრიჯანთან ერთად დაჭერით ჯერ სიგრძეზე, შემდეგ სიგანეზე და ჯამში ჩააწყვეთ. ზემოდან მოაყარეთ დაჭრილი ხახვი, პომიდორი, ოხრახუში, მარილი, მოასხით ძმარი და ზეთი და ფრთხილად აურიეთ. სუფრაზე მიტანის წინ შეგიძლიათ წვრილად დაჭრილი ნიორიც მოაყაროთ.



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14

ტელეფონები:
99-98-71;
99-71-68

მასალები გადაეცა ასაწყობად 25.06.91 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.08.91 წ. ქაღალდის ზომა 80×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 8. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,8. ტირაჟი 95.000. შეკვ. 1285.



ედიტი.

# ალენ დელონის ყველაზე დიდი სიყვარული



ალენ დელონი და რომი შნაიდერი.

1982 წლის 29 მაისს დაიღუპა რომი შნაიდერი. ალენ დელონის 80 წლის დედა ედიტი გვიყვება მისი ვაჟიშვილისა და რომი შნაიდერის სიყვარულის ამბავს. ყოველთვის, როცა რომის სახელს წარმოსთქვამს, ედიტი ყელზე დაკიდებულ ჯვარს ეალერსება, ჯვარზე გერმანული წარწერაა „ღმერთი გფარავდეს".

„ეს ჯვარი ჩემი და რომის საიდუმლოა", — გვეუბნება ედიტი. როცა მათ ერთმანეთი შეუყვარდათ, რომიმ გადაწყვიტა ჯვარი ეჩუქებინა ალენისთვის, რომი და ალენი გრძნობდნენ, რომ მათი სიყვარული განსაკუთრებული, განუმეორებელი იყო. ისინი იმდენად ბედნიერები იყვნენ, რომ რომის შეეშინდა ამ ბედნიერების და გადაწყვიტა თავის საჩუქრით დაეცვა ჩემი ბიჭი. ასეთი წარწერაც იმიტომ გაუკეთა, რაც არ უნდა მომხდარიყო, რომიმ იცოდა, რომ მათი სიყვარული სამუდამოდ დარჩებოდა მის გულში, როგორც ოქროზე ამოტვიფრული სიტყვები დარჩა ჯვარზე.

ალენმა რომის ხელიდან მიიღო ჯვარი და მრავალი თვის მანძილზე, როცა ისინი ერთად იყვნენ, კისრიდან არ მოუხსნია. მაშინაც კი როცა განზების წყალობით ალენს ნატალი შეუყვარდა და რომი მიატოვა, ჯვარი თავისთან ჰქონდა. მაშინ მე მივედი ჩემს შვილთან და ვუთხარი: „შენ ამ ჯვრის ღირსი აღარ ხარ, ძომეცი, მე დავუბრუნებ მას პატრონს". ალენმა უსიტყვოდ მოიხსნა ჯვარი და ხელში ჩამიდო. პარიზში რომ დავბრუნდი, რომის დავურეკე. შეხვედრისას ბევრი ვიტირეთ და მე მივხვდი, რომ მას ისევ უყვარდა ჩემი შვილი. „ჩემო კარგო, — ვუთხარი მე, — მე გიბრუნებ ამ ჯვარს. ალენი ამის ღირსი არ არის".

„არა, — მიპასუხა მან, — ჯობია შენთან იყოს, ის შენ დაგიფარავს, ალენსაც დაიფარავს ჩემი და შენი სიყვარულის [illegible]ბით".

ამ დღის შემდეგ ედიტს ჯვარი არ მოუცილებია. რომის სიკვდილის შემდეგ ედიტმა გადაწყვიტა ჯვარი რომის ქალიშვილისთვის სარახთვის მიეცა, როცა ის სრულწლოვანი გახდებოდა და გაიგებდა, თუ რა ბედნიერი იყო დედამისი ალენთან. რომი შნაიდერის ქალიშვილი უკვე გაიზარდა და ახლოვდება დღე, როცა ედიტი მას დედამისის ჯვარს გადასცემს. რომის და ედიტს ისე უყვარდათ ერთმანეთი, რომ რომი მას „მეორე დედას" ეძახდა. რომი რომ ცოცხლად მხსომებოდა, მის დასაფლავებაზეც არ წავედი, — გვითხრა დასასრულს ედიტმა, — ვერ შევძლებდი კუბოში ჩასვენებული რომის ნახვას. მხოლოდ მისი საყვარელი ვარდებისაგან შეკრული ჯვარი გავაგზავნე უბრალო წარწერით „შენი მეორე დედა".

ესპანურიდან თარგმნა
**თეა გვასალიამ**
ჟურნალი „ოლა".

# კინომოზაიკა

## ჩიჩოლინამ ჯვარი დაიწერა



ჩიჩოლინა მეუღლესთან

მრავალი იტალიური ეროტიკული ფილმისა და სპექტაკლის გმირი ილონა სტალერი, რომელიც მეტსახელად ჩიჩოლინათი უფრო ცნობილი, ორმოცი წლის ასაკში ცოლად გაჰყვა ამერიკელ მხატვარს ჯეფ კუნს. სულ ცოტა ხნის წინ, ჩიჩოლინა, რომელიც იტალიის რადიკალური პარტიის დეპუტატიც არის, საკუთარ სხეულს სთავაზობდა სადამ ჰუსეინს, რის სანაცვლოდაც ერაყელ დიქტატორს სამხედრო ტყვეები უნდა გაენთავისუფლებია. ჩიჩოლინამ ევანგელისტურ ეკლესიაში დაიწერა ჯვარი და განაცხადა, რომ მოყვარული ცოლი და ბევრი შვილების დედა იქნება.

## მიშელ პფეიფერის და ალ პაჩინოს ახალი როლები

უკანასკნელი წლების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფილმის „ლამაზი ქალის" რეჟისორი გარი მარშალი ნიუ-იორკშია და ახალ ფილმს „ფრენკი და ჯონის" იღებს. ფილმში მთავარ როლებს ჰოლივუდის ვარსკვლავები მიშელ პფეიფერი და ალ პაჩინო ასრულებენ. ალ პაჩინოს გმირი — ჯონი ნიუ-იორკის ერთ-ერთი რესტორნის მხიარული მზარეულია, მიშელ პფეიფერის ფრენკი კი ამავე რესტორნის მიმტანი. ორივენი ორმოც წელს არიან გადაცილებულნი, მაგრამ თვრამეტი წლის ახალგაზრდებივით შეუყვარდებათ ერთმანეთი.



ალ პაჩინო და მიშელ პფეიფერი.

ინდექსი 76174

# სან-სუსი—სილამაზე ბადენ-ბადენიდან

6133/103

ეროვნული ბიბლიოთეკა




გერმანიის ტყიან მასივ
შვარცვალდს, ჩაეკრავს გულ
ბადენ-ბადენი, აი წელია, რა
იდილიურ ხეობაში მდებარ
ელეგანტურ, ცხელი წყლებით
მდიდარ, სანატორიუმებითა და
კაზინოებით მოფენილ ა
საკურორტო ქალაქში დაიდო ბინა
სან-სუსიმ — კოსმეტიკის მარკამ,
რომელიც თავისი დევიზითურთ —
„სილამაზე ბადენ-ბადენიდან" —
მთელ მსოფლიოსთვის
მაღალხარისხოვანი კოსმეტიკური
პროდუქციის სინონიმად იქცა

.... როგორ უნდა გამოიყურებოდეს ქალი 1991 წელს? რა თქმა უნდა, უკეთესად, ვიდრე შარშან! ყურადღებით ადევნეთ თვალი ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომრებს და გაიგებთ, როგორ უნდა მიაღწიოთ ამას.